

# ჩემი აფხაზეთი

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტრო №28, სექტემბერი, 2014 წელი

## „ჯვარი უფლისა გაამთლიანებს საქართველოს“

პატრიარქმა აფხაზეთის მთავრობას სადაფის ჯვარი გადასცა

27 სექტემბერს სოხუმის ნართმევიდან, რასაც შემდეგ მთელი აფხაზეთის დროებით დაკარგვა მოჰყვა, 21 წელი გასრულდა. სამების საკათედრო ტაძარში, იმ დღეს ჯვართამაღლების დღესასწაულთან დაკავშირებით, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტმა, უნმინდესმა და უნეტარესმა ილია II მღვდელმთავრებთან ერთად საღვთსაწაულო წირვა აღავლინა, ომში დაღუპულ ქართველებსა და აფხაზებს პანაშვიდი გადაუხადა, მრევლს კი ქადაგებისას ასე მიმართა:

„დიდ ხარ შენ, უფალო და საკვირველ არიან საქმენი შენი“. ვერავითარი ადამიანის გონება ვერ ახსნის იმ მოვლენებს, რომლებიც ხდება ჩვენს გარშემო. ვერავითარი ადამიანი ვერ გაიგებს, როდის იწყება სიხარული და როდის მთავრდება იგი. სიხარული და მწუხარება ტყუპი ძმებივით ერთად არიან. ინდური ფილოსოფია ამბობს: „ჰოი, სიხარული, შენ სანყისი ხარ მწუხარებისა. ჰოი, მწუხარებავ, შენ სანყისი ხარ სიხარულისა!“

როდის იწყება სიხარული და როდის მთავრდება იგი, ან როდის იწყება მწუხარება და როდის მთავრდება იგი, ეს უფლის ნებაა. და აი, დღეს ორი თარიღია, ჯვართამაღლება – დიდი სიხარულის და ზვიმის დღესასწაული და მწუხარება, როცა დაეცა სოხუმი, დაეცა აფხაზეთი. ჩვენ რა შეგვიძლია ვთქვათ დღეს. უპირველეს ყოვლისა, ჩვენ დღეს ვლოცულობდით არა მარტო ქართველებისთვის, არამედ აფხაზებისთვის, ყველასთვის, ვინც დაეცა აფხაზეთის ომში. ჩვენ არ უნდა განვიკითხოთ ვინმე აფხაზეთიდან. ეს არ იყო ომი ქართველებსა და აფხაზებს შორის. ქართველები და აფხაზები მსხვერპლნი იყვნენ და ჩვენ ამიტომ ვლოცულობთ ორივესთვის. მე დარწმუნებული ვარ, დადგება ის დრო, როცა ერთი ძეგლი აიგება აფხაზეთში დაცემული აფხაზებისა და ქართველებისთვის.

მე არ შემიძლია დღეს არ გავისხენო ჟიული შარტავა, რომელიც მსხვერპლად შეენი-



რა. ჟიული შარტავა არის უდიდესი პიროვნება, უდიდესი გმირი აფხაზეთისა და მთლიანად საქართველოსი.

ჟიული შარტავა უკვე მკვიდრია სასუფეველისა და ის ლოცულობს საქართველოს მთლიანობისთვის. ჯვარი უფლისა ეს არის უდიდესი ძალა, ძალა, რომელიც იცავს ადამიანს, ერს და დღეს ჩვენ შევთხოვთ უფალს, რომ ძლიერებითა ჯვარისათა დაიცვას და დაიფაროს სრულიად საქართველო, ჯვარის ძალით გაამთლიანდეს საქართველო. შემთხვევით არაფერი ხდება, შემთხვევით არ არის, რომ ეს მოხდა ჯვართამაღლების დღეს, რაც იმას ნიშნავს, რომ ჯვარი უფლისა გადაარჩენს საქართველოს და ჯვარი უფლისა გაამთლიანებს საქართველოს“.

„ჰოი, სიხარული, შენ სანყისი ხარ მწუხარებისა. ჰოი, მწუხარებავ, შენ სანყისი ხარ სიხარულისა!“ გვახსენებდა ინდურ ფილოსოფიას პატრიარქი და მერე სამეზიდან

თემის გაგრძელება გვ. 3

„ჩემი სახლი - აფხაზეთი“

აფხაზეთის მხატვრების გამოფენა ჰოლანდიაში

83.2-9



უხოაღლოდ  
ღარაინილი  
აზიბორუბის ნოსტალგია  
ინტერვიუ ზაურ ბედიასთან

83.5



ღიხნის  
ღვთისმშობლის  
ქაძარი

83. 6-7



## ქვეყნის ეთიანობის უკვდავ ჰიმნს ძეგლი უნდა დავუდგათ

ნაბო ჟორსანბია

აფხაზეთში მეგრული „დედა-ენა“ და მეგრული ენაზე შედგენილი კალენდარი გამოუციათ. ეს ფაქტი იმდენად არის აღმაშფოთებელი, რამდენადაც მათ უკან მხოლოდ ცალკეული პიროვნებები კი არა, საქართველოს კიდევ უფრო დანაწევრებისა და გათიშვის მოსურნენი ილანდებიან. პირდაპირ დავარქვათ სახელი, საქართველოს მტრები, მისი ინტერესების ძირგამომთხრელნი, რომელთაც ყველა დროსა და ეპოქაში, თვით ქვეყნის შიგნიდან ჰყავდათ ხოლმე თანამოაზრენი.

ამიტომაც მივიჩნიეთ აუცილებლად, გამოვხმაურებოდით აფხაზეთში ამჯერად მეგრული კალენდრისა და მეგრული „დედა-ენის“ სახით ჩადებულ ნაღმს, რომლის „აფ-

ეთების სამსახურში“ ვილაცები ამჯერადაც იდგებიან ენგურს აქეთა საქართველოშიც.

ნათქვამია, „ძალდი ყეფს, ქარავანი მიდისო!“ ჩვენ დიდი ხანია ამ რეალობით ვცხოვრობთ და ახლაც იგივე რომ არ დაგვემართოს, უპრიანად მიგვაჩნია, ყურად ვიღოთ ერთი ძალიან საინტერესო იდეა, რომელიც ქართულ სინამდვილეში ამოიზარდა და თანდათან ძალას იკრებს:

ამ იდეის თანახმად, ჩვენი ქვეყნის დედაქალაქში უნდა დაიდგას ცნობილი ლექსის - „პატარა ქართველის“ ავტორის დუტუ მეგრელის ძეგლი. ლექსისა (ქართლ-კახეთი, იმერეთი, გურია და სამეგრელო – ყველა ჩემი სამშობლოა, საყვარელი საქართველო!), რომელსაც საქართველოს ერთიანობის ჰიმნსაც უწოდებენ. ამით ჩვენ ძეგლს დავუდგამთ საქართველოს განუყოფლობისა

და ერთიანობის, მისი შეუვადლობის რწმენას.

„ძეგლი უნდა იყოს მასშტაბური“, – აცხადებენ ამ იდეის ავტორები და უთუოდ იმიტომ, რომ დედაქალაქის ცენტრში აღმართული ძეგლი თვალში საცემი იყოს საქართველოს დანაწევრების მოსურნეებისთვისაც, ცხადად იგრძნონ მათ, რომ დუტუ მეგრელის – საქართველოს ერთიანობის ჰიმნის შემქმნელის კუთხეს ამაოდ აქეზებენ.

აფხაზეთის განათლებისა და კულტურის სამინისტროც იზიარებს ამ საშვილიშვილო ნამოწყებას და შეეცდება, მცირედი წვლილი მაინც შეიტანოს მის განხორციელებაში.

აქვე გთავაზობთ დუტუ მეგრელისთვის ძეგლის დადგმის იდეის ერთ-ერთი ავტორის, პოეტ ელგუჯა მარლიას წერილს.

გაგრძელება გვ. 7



# ახალი სასწავლო წელი თანამდევ ამავეთ

ნიკოლოზი

15 სექტემბერს, საქართველოს ყველა სკოლაში პირველი ზარი გაისმა. საჯარო სკოლებში სწავლა დაიწყო. სწავლა განახლდა საქართველოს სხვადასხვა რეგიონში მოქმედ აფხაზეთის ცამეტ საჯარო სკოლაში.

ამ საზეიმო დღესთან დაკავშირებით თბილისში მდებარე ვოვა ვეკუას სახელობის აფხაზეთის №3 საჯარო სკოლას ეწვივნენ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ხელისუფლების, აფხაზეთის განათლებისა და კულტურის სამინისტროს წარმომადგენლები და საპატიო სტუმრები. მათ შეკრებილ საზოგადოებას ახალი სასწავლო წლის დაწყება მიულოცეს. „პრივატბანკის“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარემ იური კონდაუროვმა და ბანკის წარმომადგენლებმა სკოლას საჩუქრად სასკოლო ინვენტარი და კომპიუტერი ტექნიკა გადასცეს.

წლეულსაც ყველა პირველკლასელმა სახელმწიფოსგან საჩუქრად კომპიუტერი მიიღო. ყველა მოსწავლეს პირველიდან მეთორმეტე კლასის ჩათვლით გადაეცა უფასო სახელმძღვანელოები. ასევე, უფასო სახელმძღვანელოები მიიღეს გალის რაიონის ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებული სკოლების

მოსწავლეებმა, სადაც სწავლა ტრადიციულად 1 სექტემბერს განახლდა.

სასწავლო წლისათვის მზადება აფხაზეთის განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ სხვადასხვა მიზნობრივი ქვეპროგრამის განხორციელებით დაიწყო. გაუმჯობესდა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და ინფრასტრუქტურა, საჯარო სკოლები სასკოლო, სპორტული და სხვა სახის ინვენტარით აღიჭურვა. სახელობო სწავლების ფარგლებში სკოლებისთვის შეძენილ იქნა სხვადასხვა მატერიალური რესურსი. ამჟამად სახელობო სწავლება აფხაზეთის თერთმეტ საჯარო სკოლაში მიმდინარეობს.

საჯარო სკოლები ახალ სასწავლო წელს გარკვეული სიახლეებით შეხვდნენ. მნიშვნელოვანი ცვლილებები შევიდა ეროვნულ სასწავლო გეგმაში. გაიზარდა მშობლების ჩართულობა სკოლის ცხოვრებაში, სასწავლო წლის ხანგრძლივობა და სხვ. აფხაზეთის საჯარო სკოლების ექვსმა მოქმედმა დირექტორმა წარმატებით დაძლია საჯარო სკოლის დირექტორის შესარჩევი კონკურსის სერტიფიცირების ეტაპი და მოიპოვეს დირექტორობის უფლება. ამჟამად მიმდინარეობს დირექტორების შესარჩევი კონკურსის მეორე ეტაპი, რომელიც უახლოეს პერიოდში დამთავრდება.



## სკოლამდელი განათლების განსავითარებლად

საერთაშორისო ინფორმაცია

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი ვახტანგ ყოლბაია პოლონეთის საგანმანათლებლო ორგანიზაცია „ედუკა-ტორის“ საერთაშორისო თანამშრომლობის პროგრამების კოორდინატორს მარცხა რაფალსკას და პოლონეთის პირველი არხის (რადიოს) ჟურნალისტებს შეხვდა. შეხვედრას „კვირტა ჯორჯიას“ სასკოლო მზაობის პროექტების კოორდინატორი ალექსანდრე კალანდია, აფხაზეთის განათლებისა და კულტურის მინისტრი დიმიტრი ჯაიანი, მინისტრის მოადგილე ბელა კოპალიანი და სხვები ესწრებოდნენ.

პოლონურმა მხარემ ვახტანგ ყოლბაიას გააცნო ის პროექტები, რომლებსაც ორივე ორგანიზაცია დევნილი ბავშვებისათვის ერთობლივად ახორციელებს. დღემდე 16 სოფელში, სკოლების ბაზაზე მათ გახსნილი აქვთ სასკოლო



მომზადების ცენტრები (ბაგა-ბალები). ერთად მუშაობენ საგანმანათლებლო პროექტზე, რომელიც სკოლამდელი ასაკის ბავშვებისათვის აღმზრდელობითი ცენტრების შექმნას ითვალისწინებს. ასევე, ეხმარებიან სკოლებს სასკოლო ინვენტარით, ნივთებით და სხვა ნივთებით. უახლოეს პერიოდში დაგეგმილი აქვთ ფსიქოლოგიური რეაბილიტაციის პროგრამის ამუშავებაც.

შეხვედრაზე სამომავლოდ სხვა ერთობლივი პროექტების განხორციელების სურვილიც გამოითქვა.

„პოლონელებთან ძალიან კარგი ურთიერთობები გვაქვს. სკოლამდელი განათლება ფუნდამენტური საწყისია მოქალაქის ჩამოყალიბებაში. ევროპის საგანმანათლებლო სისტემაში არსებული თანამედროვე მიდგომები ძალიან საინტერესო და მნიშვნელოვანია საქართველოსთვის, რომელიც უკვე დიდი ხანია ევროპის წინააღმდეგ, - აღნიშნა საერთაშორისო ორგანიზაციებთან და ჟურნალისტებთან შეხვედრაზე ვახტანგ ყოლბაიამ.

## „ჩემი სახლი - აფხაზეთი“

აფხაზეთის მხატვრების გამოფენა ჰოლანდიაში

ნატო ჯორჯიანი

„ჩემი სახლი - აფხაზეთი“ ასე ჰქვია აფხაზეთიდან დევნილი მხატვრების: ნუგზარ მგალობლიშვილის, ალექსანდრე ზუბუას, ზურაბ ჭედიასა და დავით ბაძაღუას ფერწერული ნამუშევრების გამოფენას, რომელიც რამდენიმე დღეა, რაც ჰოლანდიის ქალაქ ლიედენის ერთ-ერთ ყველაზე პრესტიჟულ გალერეა „ფრედერიკ ვან დერ ვლისტში“ წარმოდგენილი.

გამოფენის ინიციატორია აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი ვახტანგ ყოლბაია. გამოფენის ორგანიზატორები არიან ჰოლანდიური ფონდი „არტეკი“ და ჩვენი თანამემამულე, ამ ფონდის დამფუძნებელი დალი უბილავა დე გრაფი.

აფხაზეთის მხატვრები ასე ჯგუფურად პირველად წარსდგნენ ევროპის წინაშე. მათი ნამუშევრები აფხაზეთის ფერებითა და ხედვებით, ზღვის მოტივებით, მშობლიური კუთხის მონატრებით არის შთაგონებული და გაჯერებული. საგულისხმოა, რომ გამოფენა 27 სექტემბერს სოხუმის დაცემის დღეს დაემთხვა და აფხაზეთის მხატვრების ნამუშევრებმა აფხაზეთის ტკივილი, თანამედროვე დაძაბული პოლიტიკური რეალობის ფონზე, ახლებურად მიიტანეს ევროპულ დამთავალიერებლად. მით უმეტეს, რომ ოქტომბრის და-

საწყისში მთელი ჰოლანდია მე-16 საუკუნეში ესპანეთისგან გათავისუფლებას ზეიმობს. ამასთან დაკავშირებით ლიედენში სახალხო დღესასწაული იმართება, ქალაქს უამრავი ადამიანი სტუმრობს, შესაბამისად, აფხაზეთის მხატვრების გამოფენაც ბევრად უფრო მეტმა ადამიანმა იხილა.

გამოფენა „ჩემი სახლი - აფხაზეთი“ ფონდ „არტეკის“ მიერ განხორციელებული მეხუთე პროექტია. „ჩვენი ფონდის მიერ ორგანიზებული ფესტივალი „იბერია“ 2010 და 2012 წლებში ჰოლანდიის ქალაქებში ქართველ ხელოვანთა არაერთი კონცერტი, გამოფენა, ქართული ფილმების რეტროსპექტივა და ვორქ-შოუები გამართა. 2011 და 2013 წლებში კი, ამ ფესტივალის ფარგლებში, ჰოლანდიელმა ხელოვანებმა გერმანულ ვან დიკმა და ევროპის ოლაფმა თბილისში, საზოგადოებას თავიანთი შემოქმედება წარუდგინეს“, - ამბობს დალი უბილავა დე-გრაფი.

ვახტანგ ყოლბაიას განცხადებით, ფესტივალი „იბერია“ ევროპაში ქართულ საქმეს აკეთებს და საქართველოს პოპულარიზაციას ემსახურება. „ამჯერად ის აფხაზეთიდან დევნილი მხატვრების შემოქმედებას გააცნობს ევროპას. ამ გამოფენით და მისი უმთავრესი სათქმელთა, საერთაშორისო საზოგადოებრიობას კიდევ ერთხელ შევახსენებთ, რომ ჩვენ - აფხაზეთიდან დევნილები ვარსებობთ და



მშობლიურ კუთხეში დაბრუნებას ველით“, - აცხადებს ვახტანგ ყოლბაია.

სამწუხაროდ, ლიედენში საკუთარ ნამუშევრებთან ერთად მხოლოდ ორი მხატვარი - ნუგზარ მგალობლიშვილი და გიზო ზუბუა გაემგზავრნენ. ზურაბ ჭედია და დავით ბაძაღუა საქართველოდან ადევნებენ თვალს

გამოფენის მსვლელობას და დამთავლიერებელთა გამოხმაურებებს. სხვათა შორის, ამ თვალსაზრისით პირველი მერცხალი მანამდე გამოჩნდა, ვიდრე მხატვრები ჰოლანდიის გზას დაადგებოდნენ: ევროპაში ერთ-ერთმა ყველაზე მრავალტირაფიანმა გაზეთმა „დე ტელეგრაფმა“ გამოფენისადმი მიძღვნილი წერილი, გამოფენის აფიშასთან ერთად, პირველ გვერდზე გამოაქვეყნა. ჩვენ გამგზავრების წინ ვესაუბრეთ ოთხივე მხატვარს და ვთხოვეთ, გაეზიარებინათ თავიანთი განწყობა, თუ რა სათქმელი მიჰქონდათ საკუთარი ნამუშევრებით ჰოლანდიელებთან, ზოგადად ევროპელებთან და რა შეფასებას ელოდებოდნენ იქაური დამთავლიერებლებისგან.

ოთხივე მხატვარი თანხმდებოდა, რომ მათი ნამუშევრების უმთავრესი თემა, რა თქმა უნდა, აფხაზეთი, მისი ფერები, ხედვები და მონატრებაა; რომ მათთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა გამოფენის რემბრანდტისა და ვან გოგის ქვეყანაში გამართვას და იქაური დამთავლიერებლების შეფასებას. ვიდრე ისინი საქართველოში დაბრუნდებოდნენ და ყოველივე ამაზე მოგვითხრობდნენ, გთავაზობთ აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს დეპუტატთან, მხატვარ ნუგზარ მგალობლიშვილთან ინტერვიუს, რომელიც სწორედ ჰოლანდიაში გამგზავრების წინ შედგა.

თემის გაგრძელება გვ. 5

## „ჯვარი უფლისა გაამთლიანებს საქართველოს“

პირველი გვერდიდან

სამების საკათედრო ტაძარში, ჯვართა-მალეების სადღესასწაულო წირვას ესწრებოდნენ საქართველოს თავდაცვის მინისტრი ირაკლი ალასანია, გენერალური შტაბის უფროსი ვახტანგ კაპანაძე, აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი ვახტანგ ყოლბაია, აფხაზეთის

ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე გია გვაზავა, აფხაზეთის განათლებისა და კულტურის მინისტრი დიმიტრი ჯაიანი და აფხაზეთის მთავრობისა და უმაღლესი საბჭოს წევრები და სხვ. წირვას ესწრებოდა ქართული ჯარის ნაწილი.

მოგვიანებით ტაძრიდან გამირთა მოედნი-სკენ ხატიით – „ყოველთა მწუხარეთა სიხარული“ დანყებულ მსვლელობას თავად აფ-



ხაზეთის მთავრობისა და უმაღლესი საბჭოს წევრებიც მიუყვებოდნენ.

გმირთა მემორიალი ყვავილებითა და გვირგვინებით შეამკეს საქართველოსა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წევრებმა, აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს დეპუტატებმა, აფხაზეთის საზოგადოების წარმომადგენლებმა. აქედან აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა ვახტანგ ყოლბაიამ, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე გია გვაზავამ,

აფხაზეთის განათლებისა და კულტურის მინისტრმა დიმიტრი ჯაიანმა, აფხაზეთის მთავრობისა და უმაღლესი საბჭოს სხვა წევრებმა ჯერ მემორიალ „საქართველოსთან“ გადაინაცვლეს. შემდეგ კი ყვავილებითა და გვირგვინებით შეამკეს ვაშლიჯვრის ძმათა სასაფლაო, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის თამაზ ნადარეიშვილის, გენერალ გენო ადამიასა და აფხაზეთის სხვა გამოჩენილი ადამიანების საფლავები.

## „დაჭრილი საქართველოს“ სიმბოლოდ აღმართულ მემორიალთან

მაია შონია

27 სექტემბერს ომში დაღუპული გმირების მემორიალთან მისულებს დაკარგულ ტერიტორიაზე, დაკარგულ ბავშვობაზე, დაკარგულ ახალგაზრდობაზე და თუნდაც დაკარგულ სახლ-კარზე ფიქრიც მოგვეძალება ხოლმე. შარშანდღიდან ეს განწყობა სკულპტურულ მემორიალთანაც – „საქართველოსთვის“ კიდევ უფრო გვიმძაფრდება. დაჭრილ ლომს „გაბზარული საქართველოსთვის“ თათი შემოუხვევია და მის გამთლიანებას მთელი ძალითა და ღონით ცდილობს. სწორედ აქ მოეწყობა ომამდელი აფხაზეთის ამსახველი ფოტოგამოფენა და აფხაზეთიდან დევნილი მხატვრების ნამუშევართა ექსპოზიცია თემაზე – „ჩემი ზღვა და ჩემი ქალაქი“. სოხუმის მოზარდმაყურებელთა თეატრმა „თეთრმა ტალღამ“ სევდისა და ამავე დროს იმედის მომგვრელი ფლუმობი – „გამარჯობა, სოხუმო!“ წარმოადგინა. ეს განწყობებიც იქ ჩავინერეთ.



ვახტანგ ყოლბაია, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი:

– 27 სექტემბერი შთაბეჭდილებებით სავსე დღეა. განსაკუთრებით ემოციური იყო, როცა პატრიარქმა გადმოგვცა იერუსალიმიდან ჩამოტანილი სადაფის ჯვარი. მჯერა, ეს ჯვარი აფხაზეთში ჩვენი დაბრუნების საწინდარი იქნება. პატრიარქი იმდენად არის მოცული აფხაზეთის პრობლემით, რომ ამან არ შეიძლება, თავისი დადებითი შედეგი არ გამოიღოს; ეს აფხაზეთთან ნდობის აღდგენაზე უდაოდ მოახდენს გავლენას. აფხაზეთი და ქართველები საბოლოოდ აუცილებლად ერთად ვიქნებით, მოსწონს ეს ვინმე, თუ არა. 21 წელია ენგურს გამოღმა ვცხოვრობთ, ყველას რაღაც გვაკლია, მაგრამ დაბრუნების იმედი არასოდეს დაგვიკარგავს.

გია გვაზავა, აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე:

– ქვა, რაზეც დგას ლომი, გაბზარულია და ლომიც დაჭრილია. ასეთი ძეგლი საქართველოში არ არსებობს. ის აფხაზეთის მთავრობის მხარდაჭერით მოქანდაკე ზურაბ კოკაიამ შექმნა. მემორიალი საქართველოსთვის დაღუპულთა სსოვნას ეძღვნება. აქ ძალიან საინტერესო გამოფენა წარმოადგინეს ჩვენმა მხატვრებმა. დღეს აფხაზეთის სახე მისი კულტურა და ხელოვნებაა. ჩვენი ხელისუფლებაც მაქსიმალურად ცდილობს, მათ ხელი შეუწყოს. ჩვენი საქმიანობის ყველაზე დიდი დაფასება და მხარდაჭერა პატრიარქის მიერ სადაფის ჯვრის გადმოცემაა. ამით მან ჩვენი საზოგადოების მიმართ თავისი დამოკიდებულებაც გამოხატა.

ჯონი აფაქიძე, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი:

– ჯვართამაღლების დღეს აფხაზეთს პატრიარქმა იერუსალიმიდან ჩამოტანილი სადაფის ჯვარი აჩუქა. ეს განსაკუთრებული მოვლენაა. ეს დიდი ძალა, ენერგია და შთაგონებაა ჩვენთვის. ეს იმოქმედებს ჩვენს ისტორიულ დებთან და ძმებთან, აფხაზეთთან ურთიერთობაზეც. ხშირად ჩვენ ადამიანები ვერ ვხვდებით ბევრ რამეს, რაც ღვთის განგებით ხდება. ამიტომ დარწმუნებულნი ვართ, რომ ქართველები და აფხაზები მომავალში აუცილებლად ერთად იცხოვრებენ.

დიმიტრი ჯაიანი, აფხაზეთის განათლებისა და კულტურის მინისტრი:

– ძალიან სევდიანი, მაგრამ იმედისმომცემი დღეა. სამებაში გამოგნებული სიტყვა ბრძანა უწმინდესმა – პანაშვიდს ვუხდით ქართველ და აფხაზ ვაჟკაცებსო. როგორი მიმტევებლობაა. ქართველის ნასროლმა ტყვიამ აფხაზი განგმირა და პირიქით, იმათმა ნასროლმა ქართველის სიცოცხლე შეინარა. ჩვენი პატრიარქი ორივეს პანაშვიდს უხდის, ეს საოცარი რამაა, დიდ იმედს მაძლევს. ნეტავი ამას თუ ისმენენ აფხაზებო, ყურში ჩამჩურჩულა ვახტანგ ყოლბაიამ.

ჩვენი მხატვრების გამოფენაც როგორი ნოსტალგიური, როგორი სევდიანია, მაგრამ მათში იმედიც ჩანს. ძალიან მიყვარს ეს მემორიალი. ამ ლომის დანახვაზე ყოული შარტავა, გურამ გაბისკირია, აფხაზი კაცი რაულ ეშბა,



სხვები და სხვები მახსენდებიან. დარწმუნებული ვარ, დაჭრილი ლომი აუცილებლად დაილრიანებს სოხუმში და იტყვის – მე აქ ვარო. პატრიარქის მიერ ჯვრის გადმოცემის ფაქტიც საოცარი იყო. ეს ჯვარი ყველას გვეკუთვნის. ამ იმედით, ამ ჯვრით შევალთ აფხაზეთში. ბიჭების სსოვნა კი არასოდეს არ უნდა დავივიწყოთ. მხოლოდ სოხუმის თეატრიდან ათი ვაჟკაცი დაიღუპა ომში. ამ პატარა კოლექტივმა ამხელა მსხვერპლი გაიღო. რამდენი უსახელო გმირი გვყავს, ვინ იცის. ყველა მათგანი დიდების ღირსია და იქ რომ შევალთ, მერე უფრო დადგება ამის ჟამი.



# ჯუმბერ ბეთაშვილი, როგორც გმირობის მაგალითი

ნათარქოზა გოდიაშვილი

საქართველოს მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნულ სასახლეში აფხაზეთის ომის გმირის ჯუმბერ ბეთაშვილის დაბადებიდან 75 წლისთავისადმი მიძღვნილი საღამო გაიმართა. საღამო აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობისა და აფხაზეთის განათლებისა და კულტურის სამინისტროს ორგანიზებით მოეწყო და მას აფხაზეთის განათლებისა და კულტურის მინისტრი დიმიტრი ჯაიანი წარმართავდა.

ჯუმბერ ბეთაშვილი 1993 წელს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველი, ომის დროს სახელმწიფო მდივანი, სოხუმის დაცემის დღეს – 27 სექტემბერს მინისტრთა საბჭოს შენობის ალგის დროს ყიული შარტავასთან და სხვა თანამებრძოლებთან ერთად დახვრიტეს. გარდაცვალების შემდეგ ის საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში გამოჩენილი გმირობის, მამაცობისა და თავდადებისთვის ვახტანგ გორგასლის I ხარისხის ორდენით დაჯილდოვდა.

საღამოზე სიტყვებით გამოვიდნენ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი

ვახტანგ ყოლბაია, აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე ელგუჯა გვაზავა, საქართველოს თავდაცვის მინისტრი ირაკლი ალასანიძე, ჯუმბერ ბეთაშვილის ოჯახის წევრები, ნაცნობ-მეგობრები და თანამებრძოლები.

ჯუმბერ ბეთაშვილის პიროვნებაზე, მის დამსახურებებზე ისაუბრა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა ვახტანგ ყოლბაიამ. „ჯუმბერი სოხუმისა და მთელი აფხაზეთისთვის კოლორიტული ფიგურა იყო. კეთილსინდისიერების, ჰუმანურობის, ნესიერების, პატიოსნების განსახიერება. საქმისადმი მისი დამოკიდებულება ხომ სრულიად განსაკუთრებული იყო.“

ჯუმბერ ბეთაშვილი ომის დროსაც მშვიდობას ქადაგებდა. დარწმუნებული ვარ, რომ მისი სახელი მხოლოდ ჩვენთვის არ არის ღირებული, რომ აუგს მასზე ვერაინ იტყვის, ვერც თბილისში და ვერც სოხუმში. აფხაზეთიც არასოდეს იყენებ გულგრილნი მისი პიროვნების მიმართ. სულ ახლახან მთელმა ქართულმა საზოგადოებამ ყიული შარტავა გაეცნო, მისი იუბილე გადავიხადეთ. დღეს ჯუმბერ ბეთაშვილზე ვსაუბრობთ. ისინი ხომ ერთ დღეს დახვრიტეს. ომი არავის ინდობს. ქართულ-აფხაზეთის ომის ადამიანურმა მსხვერპლმა ორივე მხარეს დაგვა-

ნახა, რომ მსგავსი საშინელება არ უნდა განმეორდეს. კიდევ ერთხელ შევახსენებთ საზოგადოებას, რომ ჯუმბერ ბეთაშვილისნაირი ხალხი არის ის ხიდი, რომელზეც უნდა იაროს ქართულ-აფხაზეთის ურთიერთობამ“, – განაცხადა ვახტანგ ყოლბაიამ.

საქართველოს თავდაცვის მინისტრმა ირაკლი ალასანიძემ აღნიშნა, რომ ჯუმბერ ბეთაშვილი ყველა ქართველისთვის, მათ შორის სამხედრო მოსამსახურეებისთვის სამაგალითოა.

„ჯუმბერ ბეთაშვილი არის შეგნებული გმირობის მაგალითი ყველა ქართველისთვის, ჩვენთვის, ვინც მართლა ვამაყობთ ჩვენი წარსულით, ვისაც გვინდა შევინარჩუნოთ ის ღირსება, ის ისტორია რომელიც ჩვენ ქვეყანას ჰქონდა. სწორედ ჯუმბერ ბეთაშვილის, ყიული შარტავასა და სხვების მაგალითზე, მათ სულისკვეთებაზე უნდა გავზარდოთ ჩვენი მომავალი თაობა და განსაკუთრებით ჩვენი ჯარისკაცები“, – თქვა ირაკლი ალასანიძემ.

დასასრულ სიტყვებზე ჯუმბერ ბეთაშვილის შთამომავლობა ავიდა თუნდაც უსიტყვოდ, იმის სათქმელად, რომ მათ გაცნობიერებული აქვთ დიდი წინაპრის მემკვიდრეობით დაკისრებული პასუხისმგებლობა. გმირის გახსენებას ხომ ყოველთვის ეს მეორე დატვირთვაც აქვს.



## წარსული, რომელიც შექმნის მომავალს...

ნიგნის „მე მოვალ თქვენთან“ პრეზენტაციაზე

სალომე თორია

„ვიცი, ძნელია სიკვდილი, ტოვებ ქვეყანას, მადლიანს, მაგრამ სამშობლოს გულისთვის ძნელია, სიკვდილიც მადლია.“

თენგიზ ძაძამიას ეს ლექსი, ალბათ, ყველა მებრძოლის სულისკვეთებას და რწმენას გამოხატავდა, სწორედ ამიტომ გაიღეს მათ ყველაზე მთავარი – სიცოცხლე...

26 სექტემბერს საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროში გაიმართა აფხაზეთის ომში დაღუპული მებრძოლების: თენგიზ ძაძამიასა და ნუკრი ცისკაძის ლექსების კრებული „მე მოვალ თქვენთან“ პრეზენტაცია. ნიგნის სამინისტროს მხარდაჭერით გამოიცა. კრებულში ილუსტრაციებად გამოყენებულია ასევე აფხაზეთის ომში დაღუპული მხატვრების სანდრო ვაჩიშვილისა და ვახტანგ თედიაშვილის ნამუშევრები. პროექტის ავტორი და რედაქტორი ასალომე კაპანაძე, რომელიც ნიგნის წინასიტყვაობაში აღნიშნავს: „მათი სიკვდილი დაამარცხეს, რადგან მისი კრძალვით ავადსახსენებელ ოთხობოცდათორმეტი სამშობლოსგან არ გაქცეულან და მუზარადი თავის სიცოცხლეს კი არა, მის ღირსებას გადააფარეს... ეს არის ხალხი, რომელიც ქმნის ჩვენს ისტორიას, ეს არის წარსული, რომელიც შექმნის მომავალს.“

ჩვენი დროის ხელოვან გმირებზე და ნიგნის მნიშვნელობა-



ზე ისაუბრეს: საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრმა მიხეილ გიორგაძემ, პროექტის ავტორმა სალომე კაპანაძემ, აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა ვახტანგ ყოლბაიამ, ვეტერანთა საქმეთა სახელმწიფო სამსახურის უფროსმა ირაკლი შიხიაშვილმა, აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე ელგუჯა გვაზავამ, აფხაზეთის განათლებისა და კულტურის მინისტრმა დიმიტრი ჯაიანმა, პოეტმა გენო კალანდიაძემ, აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ თამაზ ხუბუამ, აფხაზეთის

უმაღლესი საბჭოს საკონსტიტუციო და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარის მოადგილემ ადა მარშანიამ, მწერალ მანანა ქარდავამ.

პრეზენტაციის დასასრულ სალომე კაპანაძემ საზოგადოებას წარუდგინა თენგიზ ძაძამიასა და ნუკრი ცისკაძის შვილები. მათ ეამაყებათ გმირი მამების უდროოდ შეწყვეტილი სიცოცხლე და სურვილი აქვთ აფხაზ თანატოლებთან ერთად სუფთა ფურცლიდან დაიწყონ ახალი ცხოვრება აფხაზეთში. სწორედ ეს არის კანონზომიერი გაგრძელება წარსულისა, რომელიც აუცილებლად შექმნის მომავალს...



# უხომალდოდ დარჩენილი ავიატორების ნოსტალგია

სოხუმის გაერთიანებული ავიარაზმი 85 წლისაა

სალომე თორია

მინას რომ მოსწყდეს, თვითმფრინავი, ასაფრენ ზოლზე დიდი სიჩქარით მოძრაობს მანამ, სანამ ამწევი ძალა თვითმფრინავის სიძიმის ძალას არ გადააჭარბებს, რის შემდეგაც თვითმფრინავი ჰაერში ადის, ცაში ნავარდობს და უკიდევანო სივრცეებს იპყრობს...

სივრცეთა დაპყრობა თვითმფრინავებმა აფხაზეთში 1929 წლიდან დაიწყო, მაშინ როდესაც „მაიაკის“ დასახლებაში აშენდა აეროპორტი და ფრენები თბილისი-სოხუმი-ქუთაისი-სოჭი-როსტოვი-მოსკოვის მიმართულებით განხორციელდა. სწორედ ამ პერიოდს უკავშირდება აფხაზეთის ჯერ ავიაესკადრილის, ხოლო შემდგომ ავიარაზმის შექმნა. სოხუმის აეროპორტმა დიდი როლი შეასრულა მეორე მსოფლიო ომის დროს. აქედან სამხედრო ნაწილებში იგზავნებოდა ტყვია-ნაშალი, ტანსაცმელი, პროდუქტები და მედიკამენტები. მოგვიანებით, 1947 წელს, აეროპორტი გადაიტანეს სოხუმთან ახლოს, სოფელ ბაბუშერაში.

უხომალდოდ დარჩენილი ავიატორების ღვანლის აღსანიშნავად აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის მხარდაჭერითა და აფხაზეთის განათლებისა და კულტურის სამინისტროს ორგანიზებით სოხუმის გაერთიანებული ავიარაზმის 85 წლის იუბილე აღინიშნა. თავდაპირველად აფხაზეთის მთავრობის წევრებმა, აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს დეპუტატებმა და ვეტერანმა ავიატორებმა გვირგვინით შეამკეს გიმრთა მემორიალი, მონუმენტი „საქართველოსთვის“ და წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს გმირულად დაღუპული მეომრების ხსოვნას.



ატორებს სამახსოვრო საჩუქრები გადასცეს აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა ვახტანგ ყოლბაიამ და აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ გაი გვაზავამ.

ვეტერან ავიატორებს საიუბილეო თარიღი მუსიკალური ნომრებით მიულოცეს მუსიკოსებმა: ვაჟა ჩუბინიძემ, ანრი მერაბოვმა, ირმა ხუროშვილმა, ნინა უსტინოვამ და ქეთევან ცაავამ.

საიუბილეო საღამომ ცხადყო, რომ დევნილობაში მყოფ, უხომალდოდ დარჩენილ ვეტერან ავიატორებს დღემდე აქვთ ცაში განავარდების, უკიდევანო სივრცეების დაპყრობის ნოსტალგია...

## გზა „დიდი ავიაციიდან“ სახალხო დიპლომატიამდე

მაია შონია

„ეზო, კარი, ხომ არის სოფელში? სტუმარი რომ მოდის და ჭიშკარს მიადგება, პირველი შთაბეჭდილება ხომ აქედან იწყება? როგორი ჭიშკარი, როგორი ეზოც დახვდება, მასპინძელი როგორც შეხვდება, იმის მიხედვით ექმნება შთაბეჭდილება იქაურობაზე. აეროპორტიც ქვეყნის ჭიშკარია. ეს არის სტრატეგიული მნიშვნელობის ობიექტი, დღეს მით უმეტეს,“ – ასე აღწერს აეროპორტის მნიშვნელობას უფროსი ლეიტენანტი, ხომალდის მეთაური ზაურ ბედია. მისი გადმოცემით, სოხუმის აეროპორტი თავის დროზე ღირსეულად ასრულებდა ამ მისიას. ჩვენი მფრინავები ომის პერიოდშიც ბოლო წუთამდე იცავდნენ ამ „ჭიშკარს“. ისინი ახლაც ეძებენ აფხაზ კოლეგებთან და სოხუმის აეროპორტთან დამაკავშირებელ გზებს და დღემდე არ დაუკარგავთ ურთიერთობების აღდგენის იმედი. თუმცა, ისიც კარგად იციან, რომ სოხუმის აეროპორტში რუსეთიდან დღემდე სრულდება საერთაშორისო სამოქალაქო ავიაციის ორგანიზაცია ICAO-ს მიერ აკრძალული რეისები. ამ თემებზე ჩვენს შეკითხვებს ზაურ ბედია თავად უპასუხებს.



თავისი სილამაზითა და შესაძლებლობებით ანალოგი არ ჰყავდა. 1982 წელს საავიაციო შემთხვევის გამო 100 ადამიანის სიცოცხლის გადარჩენა მომხდა, ასაფრენ ბილიკზე გადამიდგა თვითმფრინავი ნასვამი მფრინავით. მას მერე კიდევ ბევრი ისეთი შემთხვევა იყო, რაც გარდაუვალად ახლავს ამ პროფესიას.

– **სოხუმის აეროპორტის ისტორია, ფაქტობრივად, ორ ეტაპად იყოფა - ომამდელი და ომის შემდგომი პერიოდი. როგორ მუშაობდა სოხუმის აეროპორტი ომამდე, დღეში რამდენი რეისი სრულდებოდა, რა მოცულობისა და სიმძლავრის აეროპორტი იყო?**

– ომამდე სოხუმის აეროპორტი საბჭოთა კავშირში თავისი სიმძლავრითა და ასაფრენი ბილიკებით ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული იყო. წელიწადში 500-600 საათი უნდა გვეფრინა, ჩვენ 700-800 საათს დავფრინავდით. რვა „TV 134“ გვყავდა, გარდა ამისა, იყო პატარა თვითმფრინავებიც. დღეში 50 რეისი სრულდებოდა, რაც იმ პერიოდისთვის საბჭოთა კავშირის მასშტაბით ძალიან დიდ დატვირთვას ნიშნავდა.

– **შემდეგ დაიწყო ქართულ-აფხაზური კონფლიქტი, რასაც მოჰყვა ომი აფხაზეთში. ამ ომში აეროპორტი, როგორც სტრატეგიული მნიშვნელობის ობიექტი, განსაკუთრებულ როლს ასრულებდა. როგორც ცნობილია, თქვენ აქტიურად იყავით ჩართული ჯერ კიდევ ეროვნულ მოძრაობაში, რომელიც მაშინ სოხუმშიც ვითარდებოდა და როგორც მფრინავიც, ბოლომდე „იბრძოდით“ თქვენს ფრონტზე.**

– 1987 წლიდან აფხაზეთში სოხუმში დაიწყო ანტიქართული მოძრაობა. ყველა, ვინც ამაში მონაწილეობდა, მოსკოვიდან იმართებოდა. აეროპორტსაც შეეხო ეს პროცესები, რა თქმა უნდა, განხეთქილების პროცესს მოჰყვა

ეროვნული მოძრაობა, რომელშიც აქტიურად ჩავეხი. აეროპორტში ძალიან დიდი კოლექტივი იყო და ბევრი თანამოაზრე მყავდა. საერთოდ, აზარტული ადამიანი ვარ. ჩემი მეგობრები „საპაერო ხულიგანსაც“ მეძახდნენ. ეს ისტორიები ჩემს წიგნში მაქვს მოყოლილი, რომელიც მალე გამოიცემა. მაშინ არც ზვიადს ვიცნობდი და არც მერაბს, მიუხედავად იმისა, რომ მერაბი ჩემი შორეული ნათესავი იყო. გავხდი „მრგვალი მაგიდის“ წევრი. მერე იყო 1989 წლის აფხაზეთის ამბოხება. 9 აპრილს თბილისში ვიყავი. დილის 7 საათზე სოხუმში ჩავედი, რეისი უნდა შემესრულებინა და იქ გავიგე, რაც მოხდა იმ დამეს თბილისში. 9 აპრილის შემდეგ აეროპორტის კოლექტივი საბოლოოდ გაიხილია. აფხაზები განზე გადაგნენ. ისინი მხარს უჭერდნენ რუსულ პოლიტიკას. მოწამლულები იყვნენ რუსული იდეოლოგიით. ქართველებშიც ბევრი იყო მოღალატე. ომის პერიოდში ჩვენი აფხაზი კოლეგები გაქცეულები იყვნენ. ჩვენს ხელში იყო ყველაფერი. სხვათა შორის, რამდენიმე რუსი მფრინავიც იყო ჩვენთან ერთად. ომის პერიოდში დღე და ღამე ვმუშაობდით. უმძიმეს პირობებში გვიჩვენდა ფრენა. წელიწადი და სამი თვე საშინელ დღეში ვიყავით, ყოველ დღე სიკვდილს ვუყურებდით თვალებში. სოხუმიდან მშვიდობიანი მოსახლეობა გაგვყავდა დიდი წინააღმდეგობების მიუხედავად. უნდა ითქვას, რომ სოხუმიდან უფრო მეტი იარაღი გადმოდიოდა, ვიდრე იქით, აფხაზეთში შედიოდა. ყველა ის მფრინავი, რომელიც მაშინ ამ რეისებს ასრულებდა, გმირია, რომელთაც ახლა არავინ აფასებს. არანაირ ყურადღებას არ აქცევენ. პენსიაც კი არა აქვთ ნორმალური.

– **სულ რამდენი ადამიანი მუშაობდით ომის პერიოდში?**

– ომის დროს სულ 8 ეკიპაჟი (თითოეული ეკიპაჟი ოთხი ადამიანისგან შედგება) და ბორტგამცილებლები ვმუშაობდით. ეს ომი თავიდანვე იყო ნაგებული. სოხუმის დაცემის შემდეგ გადმოვივით თბილისში. აქ მე და ჩემმა კოლეგა გოგი ფაცაცია ჩამოვყავალბით ორგანიზაცია „აბაზია“, სადაც განვერიანებული იყვნენ ჩვენი სოხუმელი კოლეგები. შემდეგ ეს ორგანიზაცია დაიშალა. 2000 წლამდე თბილისის აეროპორტში ვმუშაობდი.

– **ომის პერიოდში ფრენებისა და ბორტგამცილების სამუშაოებს ხშირად იყო, ალბათ, სულ რამდენი ფრენა განახორციელეთ ამ პერიოდში?**

– ათასამდე ფრენა განხორციელდა და ყოველ აფრენაზე ვემშვიდობებოდით ოჯახს. ეს საუბრები ინერებოდა და შავ ყუთში ინახებოდა. დაბრუნების გარანტია არც ერთ ჩვენს არ გვექონდა.

– **სოხუმიდან ბოლო რეისი როდის შეასრულეთ?**

– ბოლო რეისი 1993 წლის 26 სექტემბერს შევასრულე, 27-ში სოხუმი დავცა.

– **თქვენი ინფორმაციით, დღეს რა ხდება სოხუმის აეროპორტში?**

– აეროფლოტის ფლაგმანი „ИЛ 62“ სოხუმის აეროპორტში თავისუფლად ჯდება. რუსეთიდან დაფრინავენ ყოველგვარი საერთაშორისო ნორმების დარღვევით. ICAO ამ ფრენებს არ ცნობს, მაგრამ რეისები მაინც ხორციელდება. დღემდე მაქვს კავშირი ჩემს აფხაზ კოლეგებთან და თვის ბოლოს აფხაზეთში ჩასვლასაც ვგეგმავ.

– **რას გულისხმობს აფხაზ კოლეგებთან ურთიერთობა?**

– 1999 წელს ჩამოვყავალიბე ორგანიზაცია „ქართულ-აფხაზური სახალხო დიპლომატია“ და სამი ადამიანი – მიხეილ ნინიძე, რეზო ბენდელიანი და მე დავდიოდით სოხუმში. აფხაზეთთან საერთო ენა გამოვნახეთ. ჩვენი კოლეგა ვლადისლავ ეშბა ჩვენი იქედან წამოსვლიდან დღემდე არის სოხუმის აეროპორტის უფროსი. 1996 წლიდან ვურეკავდი, რომ შევხვედროდით. ის მთავაზობდა ან მოსკოვში ან სოჭში შეხვედრას. მე კატეგორიულ უარზე ვიყავი. ბოლოს, 1999 წელს გალში შევხვდით ერთმანეთს. ძალიან დიდი სიყვარულითა და სითბოთი დაგვხვდნენ. 2-საათიანი შეხვედრა უნდა ყოფილიყო და მთელი საღამო ერთად გავატარეთ. ვიტყვით კიდევ, რომ ამდენი წლის ურთიერთობის შემდეგ მტრულად ვუყურებდით ერთმანეთს. მას მერე მე და ჩემი მეგობრები სულ ხუთჯერ ჩავედით აფხაზეთში. 2002 წელს აქვთ დავაპატიჟე ჩემი აფხაზი კოლეგები. დიტერ ბოდენი მეხმარებოდა ამ შეხვედრის მოწყობაში. სხვათა შორის, ძალიან მიჭერდა მხარს ცხონებული ზურაბ ჟვანია. მოკლედ, ეს შეხვედრა ჩვენმა მაშინდელმა ხელისუფლებამ ჩაშალა. აფხაზეთმა გაიგეს ეს ყველაფერი და ძალიან ეწყინათ. ვლადისლავ ეშბა აფხაზეთის ორგზის გმირად არის გამოცხადებული. თავდაცვის მინისტრიც კი იყო. მერე ისევ აეროპორტის უფროსად დაბრუნდა და დღემდე ამ თანამდებობაზე მუშაობს. ისიც ჩემსავით დაფრინავდა ომის დროს. ის დააფასეს აფხაზეთში, ჩვენ კი არავინ ყურადღებას არ გვაქცევს.

– **ამდენი წლის შემდეგაც გაქვთ იმედი, რომ სახალხო დიპლომატია რამე შედეგს გამოიღებს?**

– რა თქმა უნდა, მხოლოდ სიყვარულით, სახალხო დიპლომატიით თუ დავეუხლოვდებით ერთმანეთს. ერთი სისხლის, ერთი ფუძისანი ვართ ყველანი. ლატარია, გერზმავა, სამსონია, ესენი გააფხაზეთული ქართველები არ არიან? რომან ტარბა იყო ჩემი უახლოესი მეგობარი, მამამისი უფროსი შვილად შევაჩნდი. ამ ომში არც ერთი მხარე არ ვართ მართალი და ეს უნდა გავაცნობიეროთ ორივემ.

# ლიხნის ღვთისმშობლის

ბეჟან ხორავა

აფხაზეთში, გუდაუთის რაიონის სოფელ ლიხნში მდებარეობს ქართული ხუროთმოძღვრების შესანიშნავი ძეგლი ღვთისმშობლის მიძინების ტაძარი.

ლიხნის ტაძარი წარმოადგენს წაგრძელებულ ჯვარგუმბათოვან ნაგებობას, რომელსაც აღმოსავლეთით სამი შვერილი აფსიდი აქვს, ჩრდილოეთით და სამხრეთით კი ღია ეკვდერები. ტაძრის ფასადი მოპირკეთებულია სუფთად გათლილი მოყვითალო ქვის კვადრებით. ფასადი მოკლებულია მორთულობას, რითაც უფრო თვალსაჩინო ხდება ნაგებობის პროპორციების დახვეწილობა და მასების ჰარმონიულობა.

ტაძარი აგებულია X საუკუნის დასასრულსა და XI საუკუნის დასაწყისში. XIV საუკუნეში ტაძარი გადაუკეთებიათ, ჩრდილოეთითა და სამხრეთით ეკვდერები მიუშენებიათ. ტაძრის ინტერიერი მთლიანად შელესილი და მოხატული ყოფილა, რაზეც ნათლად მეტყველებს შემორჩენილი ფრაგმენტები. მოხატულობა ყურადღებას იქცევს ფაქიზი კოლორიტით, ფიგურების დინამიკურობითა და ექსპრესიულობით. როგორც ირკვევა, ტაძარი პირველად X-XI საუკუნეების მიჯნაზე მოუხატავთ, მეორედ კი XIV საუკუნეში, როდესაც ტაძარი გადააკეთეს. სატაძრო კომპლექსში შედის ორიარუსიანი სამრეკლოც. ტაძრის მახლობლად არის აფხაზეთის მთავართა ორსართულიანი სასახლის ნანგრევები. სასახლე გვიანდელი შუა საუკუნეების საერო ხუროთმოძღვრების საინტერესო ნიმუშია. კედლების წყობაში რამდენიმე სამშენებლო ფენა შეიმჩნევა. ამასთან, უფრო ძველი, XVI-XVII საუკუნეებისა აგებულია კირქვის ფილებით. ეს ის დროა, როდესაც ლიხნი აფხაზთა სამთავროს პოლიტიკური ცენტრი გახდა. XIX საუკუნეში სასახლე გადააკეთეს და მნიშვნელოვნად გააფართოვეს. სასახლის მეორე სართული ხისგან იყო ნაგები. ტაძარი და სასახლე მდებარეობს უზარმაზარი მინდვრის განაპირას.

ნიშანდობლივია, რომ ლიხნის განაპირას, მდ. ხიფსთას მარცხენა ნაპირზე აღმართულია გალავნით შემოზღუდული VII-VIII სს. ციხე-სიმაგრის (აბანთა) კომპლექსი. მის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში შემორჩენილია სამეკლესიანი ბაზილიკის ნანგრევები. სამწუხაროდ, შუა საუკუნეების ქართულ წყაროებში არც ლიხნის და არც აბანთის კომპლექსის შესახებ ცნობები არ არის შემორჩენილი.

ლიხნის ღვთისმშობლის ეკლესიის სიძველეები პირველად ფრანგმა ქართველოლოგმა მარი ბროსემ შეისწავლა. 1848 წლის აპრილში მანვე გადმოწერა ტაძრის ძველი ქართული წარწერები. იმხანად ლიხნს თურქულ სახელს სოუქსუს ეძახდნენ, რაც „ციც წყაროს“ ნიშნავს, და მარი ბროსეც ასე იხსენიებს მას. მარი ბროსეს ცნობით, „ტყის შუაგულში მდებარეობს სოფელი სოუქ-სუ, მიხეილ შარვაშიძის (დღევანდელი აფხაზეთის მმართველის) მთავარი რეზიდენცია. მისი სახლი ქვითა და ხით ნაგები დიდი შენობაა, რომელსაც გარშემო აივანი უვლის. სახლი ულამაზეს მინდორზე დგას. ეზოს გარშემო ისეთივე ღობე აკრავს, როგორც სამეგრელოში იცაინ. ამ ეზოში ყოველთვის მნახველთა და მთხოვნელთა სიმრავლეა. აქვე ახლოს დგას ლამაზი ეკლესია. ის შესანიშნავად არის მოვლილი, რაც სარწმუნოებისადმი აფხაზეთის მთავრის დამოკიდებულების მაჩვენებელია. .... ეკლესიის თაღები ჯვრის ფორმას ქმნიან. ტაძრის შიგნით დასავლეთის კედელს მიუყვება ქორედი. საკურთხეველი მოხატულია ლამაზი ფრესკებით, რომლებიც სხვადასხვა ბიბლიურ თემას ეძღვნება“.

მოგვიანებით ტაძარი მოინახულეს და აღწერეს დიმიტრი ბაქრაძემ, პრასკოვია უვაროვამ, ექვთიმე თაყაიშვილმა. XIX საუკუნის მიწურულსა და XX საუკუნის დასაწყისში ტაძრის შეკეთებისას, მისი კედლები შელესილობითა და კირის სქელი ფენით



დაიფარა. 1986 წელს ძეგლთა დაცვისა და გამოყენების სამეცნიერო-საწარმოო სამმართველოს რესტავრატორთა ჯგუფმა მ. ბუჩუკურის ხელმძღვანელობით განმინდა ტაძრის კედლები შელესილობისა და კირის ფენისაგან და კვლავ გამოჩნდა ქართული წარწერები.

ქორედის სამხრეთის კედელს მთელ სიგანეზე დაუყვება ფრესკული წარწერა, რომელიც მოგვითხრობს 1066 წელს ჰალეს კომეტის გამოჩენის შესახებ: „ქ. კურთხეულ ხარ, ღმერთო, ყოვლად ყოველსა შინა. ესე იქმნა დასაბამითგან წელთა ხქით, ქორონიკონსა სჰა, მეფობასა ბაგრატ გიორგის ძისა-სა ინდიკტიონსა ლჳ, აპრილსა თუესა, ვარსკულავი გამოჩნდა, რომელ მისსა წიაღსა აღმოვილიდის და წინა მისსა, ვითარცა შარავანდი დიდი, მოკიდებით მასვეა. ესე იქმნა ბზობითგან აღესებამდის“.

ლიხნის ტაძრის ამ წარწერაში მოხსენიებული მეფე ბაგრატ გიორგის ძე არის ბაგრატ IV (1027-1072 წწ.). აღსანიშნავია, რომ წარწერაში კომეტის გამოჩენა საოცარი სიზუსტით არის აღწერილი. იგი მოცემულია სამწიგნო დათარიღებით (დასაბამითგან, ინდიკტიონით და ქორონიკონით), თანაც თვისა და დღეების აღნიშვნით. როგორც მ. ბროსე აღნიშნავდა, 1066 წელს აღდგომა 16 აპრილს დადგა, ბზობა – 9 აპრილს. ამდენად, კომეტის გამოჩენის პერიოდი 9-16 აპრილია. ნიშანდობლივია, რომ 1066 წელს ჰალეს კომეტის გამოჩენის შესახებ მოთხრობილია ასევე კიევის სამთავროს მატიანეში და ერთ-ერთ ჩინურ ქრონიკაში, ხოლო კომეტის გამოსახულება, საზარელი ურჩხულის სახით, ნორმანდიის დედოფალს მატილდა ფლანდრიელს ამოუქარგავს მის მიერ მოქსოვილი ხალიჩის კუთხეში.

გარდა ამ წარწერისა, ლიხნის ტაძარში გვხვდება სხვა წარწერებიც. ბიბლიურ სიუჟეტთა და წმინდანთა ქართულ-ბერძნული განმარტებითი წარწერების გარდა, შემორჩენილია ქართული ასომთავრული და მხედრული დამწერლობით შესრულებული წარწერები ბაგრატ IV-ის, გიორგი II-ის, ვაჩე პროტოსპათარის – ბაგრატ IV-ის წარმომად-

გენლის ბიზანტიის საიმპერატორო კარზე, და სხვათა მოხსენიებით.

ლიხნის ღვთისმშობლის მიძინების ტაძარი მდიდრულად ყოფილა მოხატული. ფრესკებს თან ახლდა განმარტებითი წარწერები. სამხრეთის სარკმლის აფსიდთან მოთავსებულია ორსტრიქონიანი ასომთავრული წარწერა წმიდა სამების გამოსახულებასთან: „ოდეს აბრაჰამს ესტუმრა სამეზბი წმიდაი“. ასევე გვხვდება ასეთი წარწერები: „წმიდა ნიკოლოზი“, „წმიდა ბასილი“, „წმიდა გრიგოლი ღვთისმეტყველი“. ამ ტიპის წარწერები ტაძარში მრავლადაა.

მარი ბროსე აღნიშნავს, რომკანკელის წინ თეთრი მარმარილოს ქვა იყო ბერძნული წარწერით, საიდანაც ირკვევა, რომ აქ განისვენებდა აფხაზეთის მთავარი გიორგი შარვაშიძე, წმ. ანას პირველი ხარისხის ორდენის კავალერი, რუსეთის არმიის გენერალ-მაიორი. ესაა გიორგი (საფარ-ბეი) ქელემ-ბეის ძე შარვაშიძე, აფხაზეთის მთავარი 1810-1821 წწ. იგი 1821 წლის 7 თებერვალს გარდაიცვალა. მ. ბროსეს აქვე უნახავს ნაკურთხი წყლისთვის განკუთვნილი ვერცხლის ლარნაკი წარწერით: „დადიანის ქალისა თამარისა“. დადიანის ასული თამარი გიორგი შარვაშიძის თანამეცხედრე იყო, ოდიშის მთავრის კაცია II დადიანის ასული და ოდიშის მთავრის გრიგოლ დადიანის და, რომელიც გიორგი (საფარ-ბეი) შარვაშიძემ 1806 წელს შეირთო.

ვახუშტი ბატონიშვილი აფხაზეთის აღწერისას აღნიშნავს: „ხოლო ანაკოფიის დასავლეთი არს აფხაზეთი... ანაკოფიის დასავლეთი დის ალაკოს წყალი... ამ ალაკოს წყლის დასავლეთი დის ზუფუს მდინარე... არს ზუფუ მცირე ქალაქისაებრი, სახლი და საყოფელი შარვაშიძისა, რომელი მჰყრობლობს აფხაზეთა“.

ანაკოფია გვიანდელი ახალი ათონია, ალაკოს წყალი – მდ. აფსთა (იგივე ბაკლანოვკა), ზუფუს მდინარე – მდ. ხიფსთა (იგივე ბელაია რეჩკა). მის ნაპირზე იყო გაშენებული ზუფუ, „სახლი და საყოფელი შარვაშიძისა“. შუა საუკუნეების ქართულ წყაროებში ლიხნი წმინდა ზუფუს სახელით იხსენიება. ისევე, როგორც „ლიხნი“, „ზუფუც“ ქართული ტო-

პონიმია.

გვიან შუა საუკუნეებში აფხაზეთში მიმდინარე ეთნო-პოლიტიკურმა პროცესებმა, სახელდობრ მთის ჩამოწოვამ, ჩრდილოეთ კავკასიიდან მთიელთა ჩამოსახლება, მხარის კულტურული განვითარება შეაფერხა და ქართული სამყაროსაგან აფხაზეთი „გაუცხოება“ გამოიწვია. ეს, უპირველეს ყოვლისა, ქრისტიანობის დაცემასა და წარმართობის აღორძინებაში გამოიხატა. ქართული ეკლესია აფხაზეთში თანდათან თმობდა პოზიციებს. ნიშანდობლივია, რომ XVI საუკუნის მეორე ნახევარში აფხაზეთის (დასავლეთ საქართველოს) კათალიკოსის რეზიდენცია ბიჭვინთიდან გელათში გადაიტანეს. გვიან შუა საუკუნეებში, ჩამოსახლებულ მთიელთა ადგილობრივ მოსახლეობასთან შერწყმის შედეგად ჩამოყალიბდა თანამედროვე აფხაზური (აფსუა) ეთნოსი. 1681 წელს აფხაზეთში ოდიშის ჩრდილო-დასავლეთი ნაწილი მდ. კელასურიდან მდ. ეგრისწყლამდე (ლალიძეა) მიიტაცეს. ამ ტერიტორიაზე გაუქმდა დრანდისა და მოქვის საეპისკოპოსოები, რადგან აფხაზეთი მიერ მიტაცებულ ტერიტორიაზე ქრისტიანული ეკლესიის ფუნქციონირება შეუძლებელი გახდა. როგორც ჩანს, ამ დროს ლიხნის ეკლესიაც დაცარიელდა.

1810 წელს აფხაზეთის სამთავრო რუსეთის იმპერიის „მფარველობაში“ შევიდა. რუსეთის ხელისუფლება და აფხაზეთის მთავარი ამ მხარეში პოზიციების განმტკიცების მიზნით ქრისტიანობის გავრცელებას ცდილობდნენ. რუსეთის ხელისუფლება ქრისტიანობის მფარველობის დროშით ნილბავდა დამპყრობლურ მიზნებს და კოლონიურ პოლიტიკას. ქრისტიანობის გავრცელება რუსეთის პოლიტიკური გავლენის გავრცელებას მოასწავებდა. ამიტომ იყო, რომ აფხაზეთის სამთავროში ქრისტიანობის აღორძინებას ყურადღება მიექცა.

აფხაზეთში რუსეთის მფარველობის დამყარების შემდეგ სამეგრელოს სამთავრო კარის ეკლესიის დეკანოზმა იოანე იოსელიანმა საკუთარი სახსრებით აღადგინა სამთავრო სახლის კარის ეკლესია ლიხნში, ღვთისმსახურება გამართა და მღვდლები გაამწესა,

# ქაძარი

ამასთან მრავალი აფხაზიც მონათლა. 1810 წელს მან ლიხნში სასულიერო სასწავლებლის გახსნის თაობაზე საკითხი აღძრა. ის იმედს გამოთქვამდა, რომ ამ გზით აფხაზეთს ქრისტიანობის ნათელი კვლავ მოეფინებოდა, თუმცა რთული პოლიტიკური ვითარების გამო ხელისუფლებამ ამ წინადადებას მხარი არ დაუჭირა.

1823-1824 წლებში სოხუმის ეკლესიის მღვდელმა სოლომონ ნადიროვმა (ნადარე-იშვილი) სოფელ ლიხნში მრავალი წარმართი და მაჰმადიანი აფხაზი მონათლა. მის თბილ დამოკიდებულებას აფხაზებისადმი, დიდ გულმოდგინებას მათი გაქრისტიანების საქმეში, აფხაზეთის ახალგაზრდა მთავარი მიხეილ შარვაშიძე (1823-1864 წწ.) მაღალ შეფასებას აძლევდა. 1821 წლიდან ლიხნში ნაყოფიერ მოღვაწეობას ეწეოდა მღვდელი იოანე ქავთარაძე, რომელმაც ადგილობრივი მოსახლეობის სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა. მალე იგი ლიხნის ეკლესიის დეკანოზი გახდა. 1823 წელს მან საქართველოს ეგზარქოსს, მიტროპოლიტ იონას (1821-1832 წწ.), სთხოვა მის დასახმარებლად რომელიმე მღვდელმონაზონი და საეკლესიო ლიტერატურა გამოეგზავნა. იმ ფორმალური მოტივით, რომ აფხაზეთის სამთავრო ჯერ კიდევ არ შედიოდა მის გამგებლობაში, ეგზარქოსმა თხოვნის შესრულებაზე უარი შეუთვალა. 20-იანი წლების დასაწყისში აფხაზეთის არქიმანდრიტმა იოანე იოსელიანმა, მთავრის სულიერმა მოძღვარმა სიმონ ჟორდანიამ, მღვდელმა იოანე ქავთარაძემ 150-მდე აფხაზი მონათლეს.

მისიონერული საქმიანობის პირველმა წარმატებებმა აფხაზეთში ნათლად აჩვენა, რომ არც ეკლესიები და არც სამღვდლოება ამ მხარეში საკმარისად არ იყო. 1823 წელს კავკასიის მთავარმართებელმა ა. ერმოლოვმა (1817-1827 წწ.) იმერეთის მმართველს, გენერალ-მაიორ პ. გორჩაკოვს სთხოვა სამეგრელოს მთავარს ლევან V დადიანს დაეთანხმებინა სამთავროს რომელიმე ეპისკოპოსი, აფხაზეთში ჩასულიყო და ლიხნის ტაძარი ეკურთხებინა. 1823 წლის ივლისში აფხაზეთში ცაგერელი მიტროპოლიტი იოანე (დადიანი) ჩავიდა და ლიხნის ტაძარი აკურთხა. იოანე ცაგერელმა ლიხნში ყოფნისას 26 აფხაზიც მონათლა. 1821-1824 წწ. ხელისუფლება ლიხნის ღვთისმშობლის მიძინების ტაძრის აღდგენასაც შეეცადა, მაგრამ ეს მცდელობა აფხაზთა 1824 წლის ანტირუსულმა აჯანყებამ და შედეგე განვითარებულმა მოვლენებმა დიდი ხნით გადადო.

1824 წლის მაისში აფხაზთა ახალმა ანტირუსულმა აჯანყებამ იფეთქა. აჯანყებულებმა ალყა შემოარტყეს მთავრის რეზიდენციას ლიხნში და რუსთა სიმაგრეს, რომელიც ამ რეზიდენციას იცავდა. მათ კარის ეკლესიაც დაიკავეს და იქიდან ცეცხლს უშენდნენ სიმაგრეს. 18 ივნისს, ღამით, რუსთა რაზმი ეკლესიაში შეიჭრა და იქ გამაგრებული აფხაზები ამოწყვიტა. მხოლოდ ერთი, კაც მარლანია გადარჩა შემთხვევით და შემდეგ თავისი ბობოქარი ცხოვრების ამ ეპიზოდს ყოველთვის ძრწოლით იხსენებდა.

1831 წლის 5 ნოემბერს სამეგრელოს მიტროპოლიტი დავითი (წერეთელი) სინოდალურ კანტორას აცნობებდა, რომ აფხაზეთის მოსახლეობის უდიდესი უმრავლესობა მაჰმადიანი იყო და ამ მხარეში მხოლოდ ერთი მოქმედი ეკლესია არსებობდა ლიხნში, სადაც ღვთისმსახურებას მღვდელი სიმონ ჟორდანი ეწეოდა.

1834 წლის გაზაფხულიდან არქიმანდრიტი ანტონი (დადიანი) და მისი თანაშემწეები ილუმენი დავითი (ახვლედიანი), მღვდელი სიმონ ჟორდანი და მღვდელმონაზონი თეოფანე (გაბუნია) აფხაზეთში, ლიხნში აქტიურ მისიონერულ მოღვაწეობას შეუდგნენ. მისიონერული მოღვაწეობის ლიხნში დაწყება იმით იყო გამოწვეული, რომ აქ ცხოვრობდა მთავრის ოჯახი და მის მხარდაჭერას ამ საქმეში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა; ამასთან, ქრისტიანობა აქ ჯერ კიდევ იყო შემორჩენილი და აქაური მოსახლეობა ადვილად

ინათლებოდა. არქიმანდრიტ ანტონის (დადიანი) მისიონერული მოღვაწეობის დადებითი შედეგები მალე აშკარა გახდა. 1834 წლის მარტიდან მაისამდე მხოლოდ ლიხნში 155 კაცი მონათლა. ეს პროცესი შემდგომ წლებშიც გაგრძელდა. არსებობს 1834-1836 წლებში მონათლულთა სიები, რომლებიც ქართულ ენაზეა შედგენილი და დამონმებულია მთავრის, მიხეილ შარვაშიძის ან მისი დედის თამარ დადიანის მიერ. ეს სიები შესანიშნავი წყაროა XIX საუკუნის 30-იანი წლების აფხაზეთის ისტორიისათვის.

ამრიგად, აფხაზეთის სამთავროში (1810-1864 წწ.) ქართველი სამღვდლოების დიდი მეცადინეობით მართლმადიდებლური ქრისტიანობა აღორძინდა, მაგრამ რუსეთის ხელისუფლება ქართული საეკლესიო და კულტურულ-პოლიტიკური სამყაროსაგან აფხაზეთისა და აფხაზების ჩამოშორებასა და „რუსული აფხაზეთის“ შექმნის იდეის განხორციელებას ცდილობდა.

არქიმანდრიტ ანტონის (დადიანი) შემდეგ ლიხნის ეკლესიაში მოღვაწეობდნენ ილუმენი თეოფანე (გაბუნია), ხოლო შემდეგ ილუმენი გერმანე (გოგელაშვილი) და ილუმენი ალექსანდრე (ოქროპირიძე). 1852 წელს, ლიხნის ეკლესიასთან, აფხაზეთში პირველი სკოლა გაიხსნა – ლიხნის სასულიერო სასწავლებელი, რასაც ამ მხარეში განათლების გავრცელების თვალსაზრისით დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. სასწავლებელმა აფხაზეთის სასულიერო პირებისა და ადგილობრივ მკვიდრთა ყველა ფენის შეილების სწავლა-აღზრდისათვის იყო განკუთვნილი. სხვა აფხაზ ბავშვებთან ერთად, მოგვიანებით, სასწავლებელში აფხაზეთის მთავრის შვილი გიორგიც სწავლობდა. სასწავლებლის ფუნქციონირებას და ბავშვების შენახვას დიდი ამაგი დასდო სასწავლებლის ზედამხედველმა, ილუმენმა ალექსანდრემ (ოქროპირიძე).

1877 წლის აპრილში რუსეთ-ოსმალეთის ახალი ომი დაიწყო. ომის დაწყებისთანავე რთული ვითარება შეიქმნა აფხაზეთში. ცარიზმის კოლონიური რეჟიმით გამოწვეულმა უკმაყოფილებამ ამ დროისათვის კულმინაციაში მიაღწია და აჯანყებამ იფეთქა. ასეთ რთულ და დაძაბულ ვითარებაში, 29 აპრილს, გუდაუთასთან ოსმალეთის დესანტი გადა მოსხდა, რომელიც ძირითადად აფხაზი მუჰაჯირებისაგან შედგებოდა. აპრილ-მაისში თურქებმა თითქმის მთელი აფხაზეთი დაიკავეს. იმავდროულად, აჯანყებული აფხაზები თურქთა დესანტს შეუერთდნენ. ივლისში რუსეთის ჯარის ნაწილები შეტევაზე გადავიდნენ აფხაზეთში და უკვე აგვისტოში მთელი მხარე განმინდეს თურქებისაგან. აფხაზეთიდან გაქცევისას თურქებს აფხაზთა ნაწილიც გაჰყვა, მაგრამ მათი მეტი ნაწილი, აგრეთვე მცირე რაოდენობით ქრისტიანი ქართველები და ბერძნები ძალით წაიყვანეს. თურქთა მიერ აფხაზეთის ოკუპაციისას ლიხნის ღვთისმშობლის მიძინების ეკლესიის მღვდელმა იოანე გეგიამ მოახერხა საეკლესიო ნივთების გადამალვა და მათი გადარჩენა. იმავდროულად, ის აფხაზებს მოუწოდებდა სამშობლო არ დაეტოვებინათ და უცხოეთში არ გადახვეწილიყვნენ. ამის გამო, 1877 წლის აგვისტოში, მუჰაჯირებმა ის შეიპყრეს და დაახრჩვეს.

XIX საუკუნის 70-იანი წლებიდან XX საუკუნის დასაწყისის ჩათვლით ლიხნის ეკლესიაში მღვდლებად მსახურობდნენ თ. გაგუა, ი. ლაკერბაია, კ. ბარციცი, მ. თარნავა.

ლიხნის ღვთისმშობლის ეკლესიამ მძიმე დღეები გამოიარა... ამჟამად ის ხარაჩოებშია ჩასმული და თითქმის მისი სარესტავრაციო სამუშაოები მიმდინარეობს. როგორც ჩანს, საოკუპაციო ხელისუფლება ცდილობს, როგორც ილორში, დრანდაში, მოქეში, ბედაში აქაც წაშალოს ქართული კვალი, თუმცა ეს უნაყოფო მცდელობა იქნება.

და დგას საუკუნოვანი ცაცხეების ჩრდილში ღვთისმშობლის ტაძარი ლიხნში და ღვთისმშობლის წილხევდრი საქართველოს ერთიანობისათვის მლოცველ ქართველებსა და აფხაზებს მოეღოს.

## აფხაზეთში ქართულ ჯვალს შლიან

მაია შონია

„აფხაზეთის ახალგაზრდა ფსიქოლოგთა ასოციაციამ“ ეროვნულ ბიბლიოთეკაში აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე არსებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების დაცვასთან დაკავშირებით შეხვედრა გამართა და ორგანიზაციის სამწლიანი მუშაობის ანგარიში წარმოადგინა. ასოციაციის თავმჯდომარემ შერმადინ შარია მნიშვნელოვან მოხსენება თქვაზე: „საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიაზე მდებარე კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა დაცვის პრობლემები და მათი გადაჭრის გზები“.

შეხვედრაზე დეტალურად განიხილეს აფხაზეთის ტერიტორიაზე არსებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების ამჟამინდელი მდგომარეობა. ვითარება საგანგაშოა, რადგან ბოლო წლებში რესტავრაციის სახელით მიმდინარეობს ამ ძეგლების დანგრევა და ქართული კვალის წაშლა. ვანდალიზმის პირველი მსხვერპლი იყო ილორის წმიდა გიორგის სახელობის ეკლესია. ტაძარი მთლიანად შეეთერთა და მასზე გამოსახული უნიკალური ქართული ფრესკები წაიშალა. გუმბათს ჩაუტარდა ეგრეთ წოდებული

ნათლებისა და კულტურის მინისტრმა დიმიტრი ჯაიანმა აღნიშნა: „შემთხვევითი არ იყო, რომ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ბიჭინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტიც გახდა. სამინისტროში შევექმენით აფხაზეთის კულტურულ ფასეულობათა დაცვის სამსახური. ეს ამ საქმეში შეტანილი მოკრძალებული წვლილია, რომელიც ვფიქრობთ, ცოტათი მაინც ნაადგება პრობლემას. აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა ვახტანგ ყოლბაიამ შეხვედრაში კიდევ ერთხელ დასვა აფხაზეთში არსებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების დაცვის საკითხი. ჩვენი ვალია, ყველაფერი გავაკეთოთ, რომ მომავალ თაობებს დარჩეთ ეს საგანძური. აფხაზებმა და ქართველებმა ხომ საბოლოოდ ერთად უნდა ვიცხოვროთ.“

შერმადინ შარიას თქმით, „კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საერთაშორისო ორგანიზაცია ICOMOS-მა აფხაზეთში არსებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებისა და მუზეუმების შესახებ რეალური დასკვნა დადო. მათ ასევე აქვთ ზუსტი რეკომენდაცია, თუ რა უნდა გაკეთდეს ამ ძეგლების დასაცავად.“



ბედიის ტაძარი

რესტავრაცია, ასევე ყველა ნორმის დარღვევით ჩატარდა კედლების გამაგრებითი სამუშაოები.

ასეთივე ვანდალურად მოექცნენ ბედიის ტაძარს. აქაც ვითომ კედლის გამაგრებითი სამუშაოების ჩატარებისას ჩამოცვივდა ფრესკები, განადგურებულია ბაგრატი III-ის ფრესკაც. ანალოგიურ დღეშია დრანდისა და ახალი ათონის ტაძრები. დრანდის ტაძარს ჩაუტარდა გუმბათის რესტავრაცია, წაშლილია წარწერები. ქართული მხარისთვის უცნობია ლიხნის ტაძრის მდგომარეობა.

„აფხაზეთის ახალგაზრდა ფსიქოლოგთა ასოციაციამ“ ამ ფაქტის თაობაზე ინფორმაცია ყველა შესაბამის საერთაშორისო ორგანიზაციას მიაწოდა.



ილორის ეკლესია

შერმადინ შარიას აზრით, აუცილებელია ამ სკოლებზე საერთაშორისო კონფერენციის ჩატარება, საეციალური სამუშაო ჯგუფის ჩამოყალიბება, ძეგლების რესტავრაციისა და კონსერვაციის პროექტის შექმნა, ძეგლებზე დაკვირვება და არქივების შესწავლა.

საკითხის კომენტარებისას აფხაზეთის გა-

ძეგლთა შორის ანალოგი არ გააჩნია. იგი არის სრულყოფილი, როგორც არქიტექტურის, ისე ადგილმდებარეობის თვალსაზრისით. ძეგლი მეათე საუკუნეშია აშენებული და ის არის ქართული ხუროთმოძღვრების უნიკალური ნიმუში, რომელიც, სამწუხაროდ, დღეს ნადგურდება“.

## „პატარა ქართველი“ - ქვეყნის ერთიანობის უკვდავი ძეგლი

**„ძეგლი ავიგე ბრინჯაოზე უფრო დროგამძლე, უფრო მეფური, ვიდრე არის პირამიდები“.**

*(ამონარიდი პორაციუსის „ძეგლიდან“; ძველბერძნულიდან თარგმნა გიგლა სარიშვილმა).*

**ელგუჯა მარლია**

ჩვენი კლასიკოსის ოთარ ჭილაძის ჩანაწერებში „ცა მიწიდან იწყება“ (გამომცემლობა „ინტელექტი“, 2010 წ.) 2005 წლით დათარიღებულ ჩანაწერებს შორის, წიგნის 305-ე გვერდზე ვკითხულობთ: „მე რომ თბილისის მერი ვიყო, ქალაქის მთავარ მოედანზე დავდგამდი დუტუ მეგრელის ძეგლს“... ეს არის და ეს. დამეთანხმებით, ოთარ ჭილაძის მრავალწლიანი ფიქრის, ანალიზისა და დაკვირვების შედეგად გაკეთდა ეს მცირე ჩანაწერი; საყურადღებოა ისიც, რომ დასახელებული წიგნის რედაქტორ-შემდგენელმა, ჩვენმა შესანიშნავმა მწერალმა ბატონმა თამაზ ჭილაძემ აღნიშნული ჩანაწერი განზე არ გადადო, დაეთანხმა ძმის პოზიციას, სათანადო ადგილი მიუჩინა და ჩვენი განსჯა-დაფიქრების საგნად აქცია; არადა უამრავი საინტერესო ჩანაწერი დარჩებოდა ამ 330 გვერდიანი კრებულის მიღმა...

ოთარ ჭილაძის ამ შესანიშნავ იდეას, მრავალი თაობისთვის (უფროსი, საშუალო და შედარებით ახალგაზრდა) ახსნა არ სჭირდება, რადგან ბავშვობიდან ყველამ შევისისხლხორცეთ უკვდავი ლექსი „პატარა ქართველი“; ბატონ ოთარს, ალბათ, ყველაზე უკეთ შეეძლო კითხვაზე - „რატომ უნდა დავდგათ დედაქალაქის მთავარ მოედანზე დუტუ მეგრელის ძეგლი?“ - ამომწურავი პასუხი გაეცა, მაგრამ მან ეს საჭიროდ არ მიიჩნია; მწერალმა კარგად იცოდა, რომ ეს კითხვა ქართველს არ გაუჩნდებოდა... თუმცა აზრთა სხვადასხვაობა ყოველთვის იარსებებს, მის იდეას ჰყავს მონიწილმდებეებიც, მაგრამ ჩვენი მოსახლეობის უმრავლესობა ამ იდეის განხორციელებას ემხრობა, რაც ჩვენს მიერ ჩატარებულმა გამოკითხვამ მაგვიოდ დაადასტურა.

მართალია, ჩვენ მხოლოდ ამონარიდს, კერძოდ, წინა ორ სტროფს გვასწავლიდნენ ხუთ სტროფიანი ლექსიდან, მაგრამ მიუხედავად ამისა, ლექსმა უდიდესი გავლენა მოახდინა მრავალი თაობის ჩამოყალიბებაში; თავიდან ბოლომდე ეს ლექსი გახლავთ ბრწყინვალე პოეტური ნიმუში და ნათლად წარმოაჩენს ავტორის პოეტურ ოსტატობა – ნიჭიერებას;

|                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                          |
|------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|
| <b>პატარა ქართველი</b>                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                   |
| <span></span>                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                            |
| მე პატარა ქართველი ვარ, <p>კავკასიის მთების შვილი და განცხრომით სხვაგან ყოფნას მირჩევნია აქ სიკვდილი!</p> <p>ქართლ-კახეთი, იმერეთი, გურია და სამეგრელო – ყველა ჩემი სამშობლოა, საყვარელი საქართველო.</p> <p>ქვეყნის თვალი, ეს ქვეყანა ღვთის-მშობლისა არის წილი; ბევრ მწარე დღეს მოსწრებია და უნახავს ბევრიც ტკბილი: ხან თუ მტერი აოხრებდა, იყო მღვრელი ცრემლის ცხარის; ბრწყინვალე დროც დასდგომია, დრო დავითის და თამარის!..</p> <p>მე პატარა ქართველი ვარ, სახელოვან ერის შვილი და მსურს მერგოს სასახელო მეც სიცოცხლე და სიკვდილი!..</p> |

დუტუ მეგრელის შემოქმედება-მოღვაწეობა მრავალფეროვანი და უაღრესად საინტერესოა, რაც ცალკე კვლევის საგანი გახლავთ; ამჯერად, ჩვენ ისევ „პატარა ქართველს“ დავუბრუნდეთ და მეტი სიცხადისთვის თვალი გადავავლოთ იმ ეპოქას, როცა ეს ლექსი დაიწერა.

1901 წელი — ეს არის „პატარა ქართველის“ შექმნის თარიღი; როგორც ნოდარ გრიგალაშვილი თავის გახმაურებულ ორტომეულში („თანამდევნი სული“) აღნიშნავს, სწორედ ამ წლის 30 აპრილს იაკობ გოგებაშვილი სადილად იწვევს ილია ჭავჭავაძეს, ანტონ ფურცელაძეს, ვახტანგ თულაშვილს, ნიკო ცხევედაძეს, პეტრე უმიკაშვილს და იონა მეუნარგიას, რომ თანამოაზრეებს გაუშხილოს არსებული საფრთხისა და მოსალოდნელი ბრძოლის შესახებ... თუ რაოდენ საშიში იყო ცხრაასიან წლებში საზოგადო საქმიანობა, ჩანს ცნობილი საზოგადო მოღვაწისა და ექიმის, „სახალხო კითხვათა კომისიის“ თავმჯდომარის ნიკო ხუდადოვის ტრაგი-



კული ხვედრიდან; ის ხულიგანი და შოვინისტი რუსების კავშირის, ეგრეთ წოდებულ „ჭემ-მარიტ რუსთა კავშირის“ მსხვერპლი გახდა... ეს არის პერიოდი, როცა კოლექტიური წერილები ქვეყნდება ილია ჭავჭავაძის წინააღმდეგ; როცა ნიუ ჟორდანია ამკარა შანტაჟსა და რევოლუციურ მუქარას მიმართავს და მკაცრ დასკვნასაც აკეთებს ილიას მისამართით: „იმედია, ამას არ დაივინყებს ასე ყბად აღებული ქართველი ხალხი“... ილია პასუხობს: „ეს რა საქმეზე აქეზებთ საქართველოს ხალხს, რომ იმედია არ დაივინყებს ასე ყბადაღებულ საქართველოს ხალხიო“ და სამის წერტილით ათავებთ ამ სიტყვებს ბოლოში?“...

ჩვენ ვიცით, რომ სამწუხაროდ, ამ მრავალწერტილს ბოლოს ტყვიები ჩაენაცვლა და საქართველოს დაუძინებელმა მტრებმა აღასრულეს დიდი ხნის ოცნება...

...წინამურში რომ მოკლეს ილია, მაშინ ეპოქა გათავდა დიდი“, — გაივლის წლები და მოთქმა-გოდებასავით აღმოხდება გალაკტიონს ეს სტრიქონები. მაგრამ ამ დიდი ეპოქის დასასრულამდე, ჩვენდა სასიხარულოდ, ჯერ კიდევ ექვსი წელი იყო დარჩენილი... იაკობ გოგებაშვილმა მეგობრები ვოსტოროვოის ანტიეროვნული პროექტის გამო შეკრიბა; ბუნებრივია, მეგობრებს შორის, ყველაზე გავლენიანი ილია გახლდათ და ამდენად, მისი აზრიც ყველაზე საგულისხმო იქნებოდა...

ეს იყო პერიოდი, როცა რუსეთის დედაქალაქში აქტიურად მუშავდება ე.წ. სამეცნიერო კონცეფცია ქართველი ერის ენობრივ-ეთნიკური ერთიანობის დასაწანევრებლად; პარალელურად, რუსეთის იმპერიის მოხელეები: იანოვსკები, ვოსტოროვები და სხვები ცდილობენ, საქართველოში რეალურად განახორციელონ იმპერიული გეგმა; კერძოდ, ისინი არაქართველებად აცხადებენ: იმერლებს, მეგრელებს, სვანებს, ხევსურებს, ფშაველებს... სამეგრელოსა და სვანეთში ფაქტობრივად კრძალავენ ქართულ ენას, ცდილობენ სხვა მხარეების ეკლესიებიდან და სამრევლო სკოლებიდან განდევნონ მრავალსაუკუნოვანი ქართული ენა. აღვნიშნავთ იმასაც, რომ ამ პერიოდში ქართველი პატრიოტებისთვის მეტად საშიში გახდა საზოგადო მოღვაწეობა, რამდენადაც იმპერიისგან დაფინანსებული კრიმინალური დაჯგუფებები ტერროს ახორციელებდნენ ქართველი საზოგადო მოღვაწეების მიმართ; მაგალითად, შოვინისტი და ხულიგანი რუსები-სგან ამ დროს შეიქმნა ე.წ. „ჭემმარიტ რუსთა კავშირი“ და ამ დროიდან იგვეგმება ილია ჭავჭავაძის მკვლელობა. აღვნიშნავთ იმასაც, რომ 1901 წელს კოლაბორაციონისტი ქართველების მონაწილეობით რუსეთის იმპერია აღნიშნავს საქართველოსთვის სამარცხვინო „დღესასწაულს“ - საქართველოს რუსეთთან „შეერთების“ ასი წლისთავს.

ასეთია მოკლე დრო და ვითარება, როცა იწერება დუტუ მეგრელის „პატარა ქართველი“;

ეს ლექსი გახლავთ ავტორის გაბედული, მკაფიო სახელმწიფოებრივი და უკომპრომისო პოზიცია იმ წარმოდგენელი ვერაგობა-თავხედობის წინააღმდეგ, რა გეგმის განხორციელე-

ბასაც ცდილობდნენ საქართველოს შინაური თუ გარეშე მტრები; მოგეხსენებათ, გაბედული პოეტური სიტყვა ხშირად ყველაზე მძაფრად გამოხატავს სათქმელს, მიზანმიც ადვილად ხედება და სასურველ შედეგსაც აღწევს.

ფაქტია, რომ ილია ჭავჭავაძე განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა ეკლესიისა და სკოლის მნიშვნელობას სულიერებისა და ეროვნული ცნობიერების ჩამოყალიბებისთვის: „არის ორი დაწესებულება, რომლის კარი მუდამ ღია უნდა იყოს ყველასათვის და შიგ შესვლა უფასო. ეს გახლავთ ეკლესია და სკოლა, ღვთის ტაძარი და ტაძარი ცოდნისა“.

ბავშვებს აქეთ განსაკუთრებული უნარი, შეიყვარონ და დაიმახსოვრონ მათი რჩეული ნაწარმოებები; ჩვენ ყველას სკოლის პერიოდიდან გვახსოვს რუსთაველის, გურამიშვილის, ვაჟას, ილიას, აკაკის, რაფიელ ერისთავის, გალაკტიონის და სხვათა უკვდავი სტრიქონები; მონიფულობისა და ზრდასრულობის ასაკშიც გრძელდება ეს სიყვარული, რადგან „რაც ერთხელ ცხოვლად სულს დააჩნდების, სამვილიშივლოდ გარდაეცემის“...

დუტუ მეგრელის სადა, დახვეწილი, ღრმა აზრის შემცველი ლექსის — „პატარა ქართველის“ როლი და მნიშვნელობა იმთავითვე განსაზღვრა იაკობ გოგებაშვილმა და ამიტომაც დაბეჭდა როგორც „დედა ენაში“, ასევე „ბუნების კარში“. ერთმანეთის მიმართ გაუცხოებული, ლამის ერთმანეთს დაპირისპირებული საქართველოს კუთხეების მომავალი თაობებისთვის აუცილებელი იყო იმ აზრის მტკიცედ გათავისება, რომ მათი განსხვავებული ადამ-ნესის მიუხედავად, ისინი ყველანი ქართველები არიან და მათი სამშობლო ერთიანი საქართველოა.

თანამედროვე ტერმინით თუ ვიტყვით, ამ ლექსმა დღემდე იმუშავა და ფასდაუდებელი წვლილი შეიტანა ეროვნული ცნობიერების ჩამოყალიბებისა და ჩვენი ქვეყნის ერთიანობის ნარეკლიან გზაზე... ეს არის ის შემთხვევა, როცა ერთი ნაწარმოებით ეზიარება პოეტი თუ პროზაიკოსი უკვდავებას... ამგვარი ფაქტები შეიძლება ბევრი იყოს მსოფლიო ლიტერატურაში, მაგრამ „პატარა ქართველისა“ და მისი ავტორის ბედი მართლაც გამორჩეული და განსხვავებულია.

P.S. 2011 წლის 27 მაისს საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის სხდომათა დარბაზში ჩატარდა ცნობილი ქართველი მოღვაწის დუტუ მეგრელისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია.

სამეცნიერო კონფერენციის ორგანიზატორები იყვნენ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ქართველოლოგიის ცენტრი /ხელმძღვანელი პროფ. ტარიელ ფუტკარაძე/ და საზოგადოებასთან ურთიერთობის სააგენტო „პროფილა“ /დამფუძნებლები: მანანა გეგიძე და ელგუჯა მარლია/.

სამეცნიერო კონფერენცია გახსნა ქართული უნივერსიტეტის რექტორმა სერგო ვარდოსანიძემ. დუტუ მეგრელის ბიოგრაფიისა და შემოქმედების შესახებ მოხსენებები წაიკითხეს: მწერალმა ზურაბ თორიამ, პროფესორებმა ტარიელ ფუტკარაძემ და რევაზ შეროზიამ; ვეცადე, ჩემი მოხსენებაც ყოფილიყო მოკლე და საქმიანი...

დუტუ მეგრელის დიდი დამსახურების შესახებ ისაუბრეს: ნოდარ ჯალალონიამ, ნოდარ გრიგალაშვილმა, ამირან გომართელმა და სხვებმა.

სამეცნიერო კონფერენციის მონაწილეებმა საგანგებო მსჯელობის თემად აქციეს ჩვენი კლასიკოსის ოთარ ჭილაძის შესანიშნავი იდეა, რომ ძეგლი უნდა დაედგას ცნობილ პოეტსა და საზოგადო მოღვაწეს დუტუ მეგრელს, როგორც საქართველოს ერთიანობისა და თავისუფლებისთვის მებრძოლს, კაცს, რომელმაც დაწერა ყველა თაობის ქართველისთვის საყვარელი და საპროგრამო ლექსი: „პატარა ქართველი“.

კონფერენციის ორგანიზატორებისა და მონაწილეების მიერ მომზადდა მიმართვის ტექსტი შესაბამის სამთავრობო დაწესებულებებში გასაგზავნად; ზემოთ ჩამოთვლილი პიროვნების გარდა, მიმართვას ხელს აწერენ თბილისის საკრებულოს ამჟამინდელი თავმჯდომარე, პროფესორი გია (გიორგი) ალიბეგაშვილი, პროფესორი, პოეტი და მთარგმნელი ნომადი ბართაია.

მიმართვის ტექსტში ნათქვამია, რომ ლექსით „პატარა ქართველი“ დუტუ მეგრელმა გაბედულად და მკაფიოდ წარმოაჩინა თავისი უკომპრომისო ეროვნულ-სახელმწიფოებრივი პოზიცია და შექმნა ღვთისმშობლის წილხედრი საქართველოს, დიდი ისტორიის მქონე ქართველობის ერთიანობის უკვდავი ჰიმნი, რომელიც ასე იწყება:

„მე პატარა ქართველი ვარ,
კავკასიის მთების შვილი...“

კავკასიის შვილობის ხაზგასმით დუტუ მეგრელი ქართველი ერის ისტორიული როლის აღდგენის აუცილებლობასაც უსვამდა ხაზს.

დუტუ მეგრელის ცნობილმა ლექსმა დიდი როლი შეასრულა ერთიანი ეროვნული ცნობიერების აღორძინების გზაზე და დღემდე აქტუალურია, რამდენადაც ჩრდილოეთის იმპერია დღესაც ყველა ხერხით (ცდილობს, ენობრივ-ეთნიკურად და ტერიტორიულად დაანანევროს ქართველი ერი და საქართველო. დუტუ მეგრელის ამ უკვდავი ლექსის როლი და მნიშვნელობა იმთავითვე განსაზღვრა იაკობ გოგებაშვილმა და ამიტომაც მიუჩინა „დედა ენასა“ და „ბუნების კარში“ სათანადო ადგილი.

„დაყავი და იბატონე“ იდეოლოგიას დღესაც აქტიურად იყენებს საქართველოს მტერი; ციხე რომ შიგნიდანაც ტყდება, სამწუხაროდ, ესეც აქტუალურია თანამედროვე საქართველოსთვისაც; ახალი იანოვსკები, აშორდები და ვოსტოროვები დღესაც ემუქრებიან საქართველოს; ხატოვნად თუ ვიტყვით: „ჰანიზალი ჭიპკართანაა!“

სწორედ, დღევანდელი რეალობისა და სამშრობოების გათვალისწინებით უფრო მეტ დატვირთვას იძენს დუტუ მეგრელის შედევრი: „პატარა ქართველი», როგორც საქართველოს ერთიანობისა და თავისუფლების დიდებული ლექსი-მონუმენტი.

ჩვენ, დუტუ მეგრელის ცხოვრება-შემოქმედებისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენციის ორგანიზატორები და მონაწილენი მოგმართავთ თხოვნით, სირცი შევასხათ ოთარ ჭილაძის შესანიშნავ იდეას და დედაქალაქში სადმე თვალსაჩინო ადგილზე აღვმართოთ ძეგლი, სადაც ამოტვიფრული იქნება დუტუ მეგრელის უკვდავი ლექსი...

მოგვიანებით ჭყონდიდელი მიტროპოლიტი პეტრე (ცაავა) გამოეხმაურა საპატრიარქოს ტელევიზია „ერთსულოვნების“ გადაცემას, რომელიც აღნიშნულ თემას ეხებოდა და გამოთქვა მზადყოფნა თანადგომისთვის; კერძოდ, 2013 წლის 23 ნოემბერს, გიორგობის ბრწყინვალე დღესასწაულზე, აბაშის რაიონ სოფელ სუჯუნაში (დუტუ მეგრელის მშობლიურ სოფელში) მოენყო საზეიმო საღამო და საუბარი წარიმართა დუტუ მეგრელის ნასახლარზე მუზეუმის გახსნის ან ბიუსტის დადგმის თაობაზე... ამ თავყრილობას ესწრებოდნენ აბაშის გამგებელი მამუკა კვიტაშვილი და საკრებულოს თავმჯდომარე პაატა ქურდოვანიძე... როგორც მათ ბრძანეს, საკრებულო და გამგეობა მომავალი წლისთვის სათანადო პატივს მიაგებენ ჩვენგან უსამართლოდ მივინყებულ დიდ ქართველს - დუტუ მეგრელს.

იმედი მაქვს, თბილისის საკრებულო, მერია და კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო მხარს აუბამენ აბაშის მესვეურთა გადანწყვეტილებას, რომ დედაქალაქის ღირსშესანიშნავ ადგილზეც დავდგათ დუტუ მეგრელის ბიუსტი, სადაც ამოტვიფრული იქნება „პატარა“ ქართველის სრული ვერსია... ბუნებრივია, ამით პატივს მივაგებთ ჩვენს გენიალურ მწერალ ოთარ ჭილაძესაც, ვისი სიტყვებითაც დავამთავრებ ამ წერილს: (ამონარიდი მომყავს 2009 წელს გამომცემლობა „ინტელექტის“ მიერ დაბეჭდილი წიგნიდან „წინ მარადისობაა!") ... „გამოვლილი გზის დავიწყებიდან ერთი ნაბიჯილა რჩება სამშობლოს უარყოფამდე... საქართველო რომ საქართველოა, ოცნებაში ისიც კი შეიძლება წარმოიდგინო ამერიკასავით ძლიერ და მდიდარ ქვეყნად. კი, ბატონო, ვიოცნებოთ. ოცნებას რა სჯობს! მაგრამ ერთი პირობით: აუცილებლად უნდა გვიყვარდეს ეს „დაწყველილი“ საქართველო, უნდა გავჯეროდეს მისი და სადაც არ უნდა ვიყოთ, შინ თუ გარეთ, მხოლოდ მის საკეთილდღეოდ უნდა ვიღვწოდეთ, უხმაუროდ და უნაგვაროდ...ასე რომ, „ერის, როგორც მთლიანი ორგანიზმის, სულიერი სიჯანსაღე“ რომ დავიბრუნოთ, ხელახლა უნდა მოვიენათლოთ ყველანი ქართველებად და ხელახლა უნდა შევისწავლოთ ანი და ბანი“...

ნუგზარ მაგლობლიშვილი:

# ხელოვნებას სიყალბის ვერ გულის

ნაბო ჟორსანია

„საქართველოდან ნაღებულ თითოეულ გამოფენას და მათ შორის ჩვენს გამოფენას სახელმწიფოებრივ მნიშვნელობას ვანიჭებ. კულტურა სახელმწიფოებრიობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია. ნათქვამია, წვეთი ქვასაც კი ხეთქავსო და ჩვენ ასე უნდა ვაწვეთოთ მთელ მსოფლიოს, კაცობრიობას, რომ არსებობს ქართული კულტურა, რომლის ერთ-ერთი შემადგენელი მარგალიტი ყოველთვის იყო აფხაზეთის მკვიდრთა მიერ შექმნილი კულტურა.“

მიუხედავად დიდი სირთულეებისა, რაც დევნილობასთან სდევს, მხატვრის მწველი სული მაინც ქმნის წრფელად და მართლად და არა დაკვეთით. კოლორიტი ისეთი რამეა, იქ ვერ ითამაშებ, სიყალბეს ადვილად შეამჩნევენ. ეს ყოველ დროსა და ეპოქაში ასე იყო და ამ მხრივ ბევრი რამის გახსენება შემძლეა“, – ასე დაიწყო საუბარი ნუგზარ მაგლობლიშვილმა.

– ამ თვალსაზრისით უპირველესად რას გაიხსენებდით?

– ჩემს ცხოვრებაში დაუფინყარი, შთამბეჭდავი კვალი დატოვა ეგრეთ წოდებულმა „ბულდოზერულმა“ გამოფენამ, რომელიც 1974 წლის 15 სექტემბერს მოსკოვში მეტრო „ბელიაევოს“ მიმდებარე ტერიტორიაზე გაიმართა. ეს იყო ნონ-კომფორმისტ მხატვართა ნამუშევრების გამოფენა, რომელიც გამოთენიისას, 5 საათზე, ღია ცის ქვეშ გაიხსნა. გამოფენის კურატორი იყო მოსკოველი პოეტი და კოლექციონერი ალექსანდრე გლეზერი, რომელმაც ამ მოვლენის თაობაზე წინასწარვე აცნობა მსოფლიოს საინფორმაციო საშუალებებს და მოსკოვში აკრედიტებული ქვეყნების საელჩოებს. გამოფენის გამართვა, ცხადია, არ იყო შეთანხმებული მოსკოვის უშიშროების კომიტეტთან, რის გამოც მათ დილითვე გამოილაშქრეს გამოფენის წინააღმდეგ და მისი მონაწილეებისა და დამთვალიერებლების დარბევა დაიწყეს. გამოფენის ტერიტორიაზე ყველა მხრიდან შემოიჭრნენ ბულდოზერები და ნამუშევრებს და მოლბერტებს გადაუარეს. მერე ეს ყველაფერი სატვირთო მანქანებზე დაყარეს და იქიდან გაიტანეს. მათთვის, ნამუშევრები, რომლებიც დაკვეთით არ იყო შესრულებული, ნაგავს წარმოადგენდა.

მხატვართა ერთი ნაწილი დაიჭირეს კიდევ, მე და იქ მყოფი კიდევ ერთი ქართველი მხატვარი ოთარ ჩხარტიშვილი დაპატიმრებას გადაუურჩით, ნამუშევრების გადარჩენაც მოვახერხეთ. მოგვიანებით, ერთი მათგანი ზვიად გამსახურდიას კოლექციაში მოხვდა.

ამ ვანდალიზმს საერთაშორისო არენაზე დიდი გამოხმაურება მოჰყვა, რადგან მისი დარბევის მოწმენი გახდნენ მოწვეული ელჩები და უცხოელი ჟურნალისტები. მასმედიის ხელში აღმოჩნდა დარბევის ძალიან მეტყველი კადრები, რის გავრცელებასაც საერთაშორისო რეზონანსი მოჰყვა. მხატვრებს სხვა რა შეგვეძლო და ხელისუფლებას სასამართლოში ვუჩივლეთ.

– მაგრამ უჩივლეთ იმ სასამართლოში, რომელიც მასვე ეკუთვნოდა.

– სხვაგან სად უნდა გვეჩივლა. საერთაშორისო მხარდაჭერამ შედეგი გამოიღო, თუმცა ყოველივე ამას ერთი ნელი დასჭირდა. მთავრობა იძულებული გახდა, დაეთმო და ნება დაერთო, „ვედეენსაზე“, მეფუტკრეობის პავლიონში მოგვეწყო ერთკვირიანი გამოფენა. ამის გამო ვიცინოდით, ბულდოზერებით დარბევის შემდეგ ახლა ფუტკრების დასაჭმელად გაგვიმეტესო.

– წარმოდგენილი ნამუშევრები ანტისაბჭოურ განწყობას გამოხატავდნენ?

– არა, თვითონ მიიჩნევდნენ ასე, რადგან გამოფენაზე გამოტანილი ნამუშევრები მათი დაკვეთით არ იყო შექმნილი და საერთოდ, ის ეკუთვნოდათ მხატვრებს, რომლებიც ხელისუფლების დაკვეთას არ ასრულებდნენ. მათთვის ტაძრის სურათი ან ნებისმიერი აბსტრაქტული ნამუშევარი ანტისაბჭოური იყო. ვთქვი და კიდევ გავიმეორებ, ასე იყო და



ასე იქნება ყოველთვის, მხატვარი, როგორც ნებისმიერი სხვა დარგის წარმომადგენელი, არ შეიძლება იყოს კომფორმისტი, ის უნდა იყოს თავისუფალი. როდესაც ხელოვანი, მწერალი დაკვეთას ასრულებს, მის ნამუშევარში თუ ნაწარმოებში ყოველთვის ჩანს სიყალბე.

საბჭოთა პერიოდში აშკარა იყო ამგვარი სიყალბე. პოსტსაბჭოთა პერიოდში უკვე დასავლეთმა გამოსატა კომფორმისტული ხელოვნების ნიმუშების შექმნის სურვილი. იქ არ არსებობდა დაკვეთით შექმნილი ხელოვნება, ამიტომაც ეს მათთვის განსაკუთრებით საინტერესო იყო.

სოხუმში ყოფნისას ჩემთან მოვიდნენ

დღესვე მოვიდა ადგილობრივი უშიშროება და გამოფენა დგვახურვინა, რამაც გემის კაპიტანი გააოცა. იმ ერთ დღეში ერთი ნახატის გაყიდვა მოვასწარი, რაც უშიშროებისთვისაც არ დარჩა საიდუმლოდ. სახლში მომადგნენ და იქაურობა გადააბრუნეს, გერმანულ მარკებს ეძებდნენ. მაშინ უკვე ჩაბმული ვიყავი დისიდენტურ მოძრაობაში და სახლის გაჩხრეკის კარგი შესაძლებლობა მიეცათ. ტერასაზე აშენებულ სახლს ერთ მხარეს მოჭრილი კლდე ესაზღვრებოდა. იმ კლდეში მოზრდილი სამალავი-სათავსო მქონდა გამოჭრილი, რომელსაც იქიდანვე მოჭრილი ქვა ბუნებრივად ფარავდა. მთელი



დალი უბილავა, ნუგზარ მაგლობლიშვილი და ალექსანდრე ხუბუა ლეიდენში გამოფენის გახსნაზე

უცხოელები და კურორტოლოგიის ეზოში მდგარი ლენინისა და სტალინის ბეტონის ქანდაკების შექმნის სურვილი გამოთქვეს. ლენინი და სტალინი სკამზე ისხდნენ და რაღაცაზე ბჭობდნენ, ქანდაკებას არანაირი მხატვრული ღირებულება არ ჰქონდა, მაგრამ ხელმძღვანელი პირები ვერ შეეღივნენ.

– ბატონო ნუგზარ, მასხოვს თქვენი მონათხრობი, რომ „ბულდოზერულ“ გამოფენამდე, თქვენ და თქვენს მეგობრებს ამგვარი ხასიათის გამოფენის სოხუმში მოწყობის მცდელობა გქონდათ.

– დიახ, „ბულდოზერულ“ გამოფენამდე მე და ჩემმა სოხუმელმა კოლეგებმა გამოფენა გავმართეთ სოხუმის პორტში მდგარი გერმანიის ფედერაციული გემის გემბანზე. როცა თავიდან ეს სურვილი გემის კაპიტანს გავუზიარეთ, მან გვკითხა: – ეს ჩვენ რამდენი დაგვიჯდება? ჩვენს პასუხზე, არაფერიო, გაუხარდა და თანაც გაუკვირდა. გემი ერთი კვირა უნდა მდგარიყო პორტში. ნამუშევრები გამოფენით თუ არა, მეორე

აკრძალული, დისიდენტური ლიტერატურა იქ მეწყო, მათ შორის იმ ნახატში აღებული მარკებიც. ამიტომაც ვერაფერი იპოვეს.

მე შესანიშნავად ვიცოდი, რომ სურათის გაყიდვის უფლება არ მქონდა, ის მხოლოდ სახელმწიფოს შეეძლო გაეყიდა. ამას კანონის ენით სახელმწიფოსთვის ზიანის მიყენება ერქვა და მკაცრად ისჯებოდა.

თავის დროზე საქართველოს მხატვართა კავშირის ბიუჯეტში სოლიდური თანხა მაქვს შეტანილი, მთელი ჰონორარის 41 პროცენტი. თუნდაც ერთ ფაქტს გავიხსენებ. 1979 წელს მოსკოვის მ. ლომონოსოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის 225 წლისთავთან დაკავშირებით გამოცხადებულ კონკურსში გავიმარჯვე, უნივერსიტეტის ინტერიერი უნდა გამეფორმებინა. მე და მხატვარმა ლერი ჭანტურიამ 2,5 წელი ვიმუშავეთ სხვადასხვა მასალაში – ხე, ფერწერა, მოზაიკა, ფრესკა და ა.შ. ეს იყო კერამიკა, ფაიფურგადავლებული მოხატული გოპელენი, ზომით 17 X 5,5-ზე. უზარმაზარი ჰონორარის მნიშვნელოვანი

წილი სახელმწიფო ბიუჯეტმა წაიღო.

რაც შეეხება გამოფენებს, „ბულდოზერული“ გამოფენის შემდეგ სოხუმში, სასტუმრო „აბხაზიას“ პირდაპირ, ბულვარზე მოვანყვეთ გამოფენა, მართალია, მაშინ არაოფიციალური გამოფენები აკრძალული იყო, მაგრამ იქ არავის დაფურბევივართ. ერთადერთი მართინდელმა თავმჯდომარემ გვისაყვედურა, გამოფენის რეკლამა აფხაზურ ენაზე რატომ არ გაქვთ გაკეთებულიო. ჩვენ კი მისთვის, აფხაზური წარწერისთვის საგანგებოდ გვექონდა მოტანილი ფუნჯი და ტილოც, მაგრამ რა ჩვენი ბრალი იყო, რომ მან აფხაზური არ იცოდა. ჯერ ერთი აფხაზი ხართ, მეორეც ისეთი მამის შვილი, აფხაზური წერა-კითხვა კი უნდა იცოდეთ-მეთქი, ვუსაყვედურე და „ინიციალიტიც“ ამით ამოიწურა.

– თქვენ შარშან კიდევ ერთ საინტერესო გამოფენაზე, სანკტ-პეტერბურგში გამართულ ნონ-კომფორმისტული ხელოვნების საერთაშორისო ფესტივალზე იმყოფებოდით.

– პეტერბურგი ნონ-კომფორმისტული ხელოვნების ცენტრია. აქვეა ნონ-კომფორმისტული ხელოვნების ძალიან მასშტაბური მუზეუმიც, რომელსაც დიდი საერთაშორისო ავტორიტეტი აქვს. ის პეტერბურგის ცენტრში, პუშკინის პროსპექტის მიდამოებში მდებარეობს. მთელი კვარტალი უკავია ამ ცენტრს, აქ არის მხატვრების სახელოსნოები, გამოფენა-გაყიდვები, სადაც არა მარტო რუსეთის, არამედ საზღვარგარეთის არაერთი ქვეყნის წარმომადგენლებს შეხვდები. ძალიან მეამაყება, რომ ამ მუზეუმში ჩემი ნამუშევარიც არის დაცული.

– გამოფენაზე მიწვევას, ცხადია, დიდი სიხარულით დავთანხმდი. თან ჩემ ნამუშევრებთან ერთად აფხაზეთის მხატვრების ორ-ორი ნამუშევარი წავიღე, მიმქონდა ვალერი არქანისა ნამუშევრებიც. ამასთანავე, სანკტ-პეტერბურგში მცხოვრები აფხაზეთის მხატვრებიც მოვიწვიე. მუზეუმს ძალიან დიდი დარბაზი აქვს, თაღებით არის გაყოფილი, მაგრამ ერთიანი სივრცე მაინც არის შენარჩუნებული. გამოფენას „საქართველობა“ დავარქვე, მის მარჯვენა მხარეს ჩემი 40 ნამუშევარი გამოფინე, მარცხენა მხარეს კი დანარჩენი მხატვრებისა. ძალიან კარგი და საინტერესო გამოფენა გამოვიდა, განსაკუთრებით მოწონათ მისი მრავალფეროვნება. გამოფენა 10 დღე გრძელდებოდა და ამ ხნის განმავლობაში მნახველთა ნაკადი არ შეწყვეტილა. იქ იყვნენ ცნობილი ხელოვნებათმცოდნეებიც, რომლებმაც მაღალი შეფასება მისცეს გამოფენას.

– ხელოვანის სათქმელს სამანი არა აქვს. თქვენ არაერთხელ აღნიშნეთ, რომ ხელოვანი თავისუფალი უნდა იყოს და დაკვეთით არ უნდა მუშაობდეს. მაგრამ არის რეალობა, როცა შემოქმედს დრო და რეალობა კარნახობს სათქმელს – ჩვენს შემთხვევაში ეს კონფლიქტები და წართმეული ტერიტორიებია. რამე მასშტაბური ჩანაფიქრი ხომ არ გავქვთ ამასთან დაკავშირებით, რათა ხელების ენა უფრო აქტიურად იქნეს მომარჯვებული და ხელოვანის ხმა უფრო მკვეთრად გაისმას.

– ვაპირებ საერთაშორისო ჩართულობით, ჟურნალისტთა საერთაშორისო ფედერაციასთან ერთად გავაკეთო პერფორმანსი „ომი მშვიდობისათვის“, რომელიც ორი კვირა გაგრძელდება.

პერფორმანსი ცხრა აპრილს, აფხაზეთის, ეგრეთ წოდებულ, საზღვართან ახლოს მინდა გაიმართოს და მასში ქართველებთან ერთად უცხოელმა მხატვრებმა, მათ შორის რუსებმა მიიღონ მონაწილეობა. ამასთანავე, მინდა, მასში ფართოდ ჩაებას საზოგადოებაც.

სამზადისი უკვე დაწყებული მაქვს, ვაგროვებ დაბოძებულ მანქანებს, ტანკების მუხლუხობებს, ომის ნარჩენებს – საყოფაცხოვრებო ნივთებს, ლითონებს, მინის ნამსხვრევებს... ამ ყველაფრისგან შევქმნით გრანდიოზული ზომის კომპოზიციას, რომელსაც ყვავილებით მოვრთავთ და ასე ერთად, მასშტაბურად გავილაშქრებთ ყოველგვარი ომის წინააღმდეგ.

# ლიტონში გაცოცხლებული

ანა მიქიანი - თანამედროვე ქართული ჭედური ხელოვნების ოსტატი

პაატარიონა ჯონაძე

ქართულ ჭედურ ხელოვნებაში პრიორიტეტი ძირითადად მამაკაცებს ეკუთვნით, რადგან ის მოითხოვს ტიტანურ შრომას, ძლიერ ნებისყოფას და დიდ ძალისხმევას. აქედან გამომდინარე, ანა მიქიანი ერთადერთი ქალია ამ დარგში, რომელიც ყველა პრობლემას არაჩვეულებრივად ართმევს თავს. ოსტატს ხელში კარგად ემორჩილება ლითონის ყველა სახეობა: სპილენძი, თითბერი, ვერცხლი და ოქრო, რომელთა ელასტიურობა ხელს უწყობს შინაარსის ხატოვან გადმოცემას.

ოსტატის ხელოვნების „სპეციფიკურობა“ განაპირობა იმ გარემომ, სადაც იგი დაიბადა (1953 წლის 9 მარტს, თერთმეტი დედამიშვილის მეცხრე შვილი) და გაიზარდა – ეს არის საქართველოს თვალწარმატები აფხაზეთი, კერძოდ, (გულირიფშის რაიონი სოფ. აჟარა) კოდორის – დალის ხეობა. ამ კუთხის ულამაზესმა ბუნებამ და ხალხის ყოფაში შემორჩენილმა მითოსურმა ლეგენდებმა, ადათ-წესებმა თავისი კვალი დააჩნის მხატვრის ჩამოყალიბებას.

ანა მიქიანის შემოქმედებითი საქმიანობა თბილისის თიბის სახელმწიფო სასწავლებელში დაიწყო. ოცნებებით სავსე ახალგაზრდა ოსტატი სწავლის დამთავრებისთანავე ბედის საძიებლად მოსკოვში გაემგზავრა. მისმა საუკეთესო წლებმაც იქ გაწვდო, სწორედ იქ ჩამოყალიბდა მისი, როგორც მხატვრის შემოქმედებითი პორტრეტი. მისი ინტერესების სფეროში მოექცა მითოსურ-ფოლკლორული თემატიკა, ლირიკულ-რომანტიული ჟანრი, საქართველოს წარსული. მის შემოქმედებაში ნელ-ნელა გაიხსნა ადამიანთა ფსიქოლოგიის, მათში ეროვნული ხასიათის ნიშან-თვისებათა მთელი სისტემა, სადაც შემოქმედებითი ქრონოლოგიის სრული მომცველობა საშუალებას იძლევა მხატვრულ პრინციპებზე, მათ ჩამოყალიბება-განვითარებაზე ნათლად დავინახოთ მხატვრის ინტელექტუალურ-ემოციური ხელწერის ევოლუცია.


ქართული თანამედროვე ლითონმშენების მხატვრობაში ანა (ლიანა) მიქიანი განსხვავებული მიმდინარეობით, ჟანრითა და თემით არის წარმოდგენილი. სამი თემის – მითოლოგიის, ლირიზმისა და ხატწერის ფარგლებში იგი ახდენს მის მიერ დასახული სახეითი პრობლემების განხორციელებას, სადაც თითოეული მათგანი შერჩეული თემით, კონკრეტულობისა და ამავე დროს მხატვრული ორიგინალურობის სხვადასხვა ხარისხს გვიჩვენებს.

ანა მიქიანის მითოსურ აზროვნებაში დიდი ადგილი უჭირავს აფხაზურ, სვანურ მითოლოგიას. მათში წარმოსახვის ხატები ზღაპრის სიუჟეტის მსგავსია, სადაც მოვლენების, კერძოდ, დროის და სივრცის აღქმა ზღაპრის-სიზმრის ცნობიერების მსგავსად მიმდინარეობს. მაგალითად კომპოზიციები: „ანანა-გუნდა“, „ბეთქილი“, „ნადირობის ქალღმერთი დალი“ და მრავალი სხვა. ასევე,

მასში აქტუალურია სხვათა სიუჟეტები ბერძნული, გერმანული მითოლოგიიდან: „ამორძალი“, „მედეა“, „ზღვის ნიშა“, „არტემიდა“, რომლებიც კომპოზიციის მხატვრული თავისებურებით გამოირჩევა. განსაკუთრებით, მითოსურ ჟანრში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს „ამირანის“ მონუმენტურ კომპოზიციას, სადაც იკვეთება არა მარტო შემოქმედის სტილისტური, მითოსურ-შინაარსობრივი თავისებურებანი, არამედ თვით მისი ფსიქოლოგიურ-დრამატული, პატრიოტული, ეროვნული სულისკვეთება, განცდები, რაც უთუოდ მრავალტანჯულ საქართველოს ბედთან არის დაკავშირებული. აქ მკაფიოდ წარმოდგება მხატვრის მიდგომა – არა კერძო პეიზაჟი, არამედ წარმოდგენა სამშობლოზე, მისი ზოგადი ხატი; არა ცალკეული ადამიანი, არამედ მთელი ერის სიმბოლო. პეიზაჟის, სიყვარულის, ცეკვის და მრავალი სხვა ჟანრი მისი შემოქმედითი სამყაროს განუყოფელი ნაწილია, ხოლო მატერიალურ საგანთა პლანობრივი დამუშავება-გადასვლები მისი განცდის ფორმა და რეალური არსებობის გამოვლენაა. ჭედურ ხელოვნებაში არსებული მდიდარი დეკორატიული მოტივების ათვისების საფუძველზე, მხატვარმა ყველა ჟანრში ლითონის ფირფიტაზე რთული და თავისებური კომპოზიციები გამოსახა, სადაც



დალი – სპილენძი



ფურ-ირემი – სპილენძი

ადამიანები, ცხოველები, მცენარეები ორგანულად დაუკავშირა ერთმანეთს.

1989 წელს თბილისში დატრიალებული 9 აპრილის ტრაგედიის შემდეგ, მხატვარი ვერ გაჩერდა უცხო ქვეყანაში და საქართველოში დაბრუნდა. სწორედ მას მიუძღვნა ნანარმოები „რწმენისა და თავისუფლებისათვის წამებული“, რომელიც ხასიათის ღრმა ფსიქოლოგიური დამუშავებით, დინამიკურობითა და დრამატიზმით გამოირჩევა.

1994 წლის აპრილში თბილისის ეროვნულ მუზეუმში ჩატარდა მისი პერსონალური გამოფენა, რომელმაც დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მნახველებზე. აღფრთოვანებული, ცრემლნარევი თვალებით შესცქეროდნენ დამთვალიერებლები ოსტატის თითოეულ ნამუშევარს.

სამშობლოში დაბრუნებისთანავე, ხელოვნებაში გაძლიერდა ქრისტეს რწმენა და სიყვარული, რის გამოც მიიღო გადაწყვეტილება გამხდარიყო მონაზონი. მოძღვრის კურთხევით დაბინავდა „ჯვარის მამის“ დედათა მონასტერში, სადაც ღვთის სიყვარულით და

დედა ეკლესიისათვის სამსახურის გაწევის უდიდესი სურვილით მცირე ხანში მორჩილმა გაორმაგებული შრომითა და ლოცვით საკმაოდ ბევრი ხატის შექმნა მოასწრო.

სწორედ, ამ ჯგუფის მხატვრობაში შეიმჩნევა ყველაზე მეტი მსგავსება XI-XII საუკუნეებში ქართულ ჭედურ ხელოვნებაში მოღვაწე ოსტატების ბექა-ბეშქენ ოპიზრების სტილთან, განსაკუთრებით ორნამენტში. თუმცა, გარდა მსგავსებისა, მხატვარი საკუთარ ინტერპრეტაციას გვთავაზობს, ავითარებს მას და მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი ხელწერით იყენებს სხვადასხვა მცენარის, გეომეტრიული ფიგურის გრაფიკულ გამოსახულებებს.

რელიგიურ ჟანრში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს 1994-95 წლებში მოჭედილ ტრიფტიქს, რომლის ცენტრალურ ნაწილში ღვთისმშობლის „შობის“ კომპოზიცია გამოსახა. ნანარმოები აღსანიშნავია თავისი იკონოგრაფიული სქემითა და მხატვრული გამომსახველობით. აქ ოსტატი გვთავაზობს ღვთისმშობლის „ორმაგი“ თავანისცემის: მოგვთა და მწყემსთა განსხვავებულ მხატვრულ გადწყვეტას, ამ იკონოგრაფიული სიუჟეტის თავისებურ რედაქციას, სადაც ღვთისმშობელმა მრავალფიგურიან კომპოზიციაში დაიკავა ცენტრალური ადგილი – „იგი ქცეულია ხატად“.

ამავე წლებში, ოსტატმა საპატრიარქოს მიერ დაკვეთით შეასრულა მისივე შესასვლელის კარიბჭე და ტიშპანი – „ჯვრის ამალგების“ კომპოზიცია, რომელთათვის დამახასიათებელია კლასიკური პერიოდის მსგავსად მოწესრიგებული, განწმენილი კომპოზიცია, სადაც ფიგურათა სილუეტების საკმაოდ მკაცრი ხასიათი - XI საუკუნის მხატვრობას მოგვაგონებს, ხოლო ფიგურების ოდნავ წარგძელებული პროპორციები, დენადი ნახატი, რაც ფორმათა დემატერილიზაციასთან ერთად, სტილიზაციის გარკვეულ ნიშნებს შეიცავს – XII საუკუნეზე მიგვითითებს.

ანა მიქიანმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა 1987-2004 წლებში სამების საკათედრო ტაძრისთვის შექმნილ, გრანდიოზული სახარების ყდის მოჭედვა-შემკობაში. სახარების - სიცოცხლის ნიგნი, ეპოქალური მნიშვნელობის ძეგლია, არა მარტო მისი ჭეშმარიტებით, არამედ მხატვრული ღირებულებითაც, რომელსაც ანალოგი არ გააჩნია არც ერთ ქრისტიანულ სამყაროში. ანა მიქიანმა წიგნის უკანა (აბრაამის სტუმართმოყვარეობა), გვერდითი და ამასთანავე წინ დასმული ტიხრული მინანქრის კომპოზიციები (ოთხი მახარებელი) შეასრულა (საბოლოოდ მანვე აკინძა). დენადი ხაზები, გამოსახულებათა სწორი პროპორციები, ქსოვილის-სამოსის მაქსიმალური დანაოჭება, სკულპტურული რელიეფურობა და რაც მთავარია, კომპოზი-



არტემიდა – სპილენძი

# საქართველო

ციათა ძირითადი იდეის განწყობილება დიდოსტატურადაა გადმოცემული.

ცნობილია საქართველოს პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის - ილია II მიერ დაწერილი ხატები: „ღვთისმშობლის“, „სამების“ და სხვა, რომელთა მოჩარჩოება ჭედურობაში შეასრულა ანა მიქიანმა. ისინი დაბრძანებულნი არიან სამების საკათედრო ტაძარში. ოსტატმა ასეთივე ცხოველხატული ჩარჩო შემოარტყა „ივერიის ღვთისმშობლის“ ხატს, სადაც ორნამენტები თანაბარზომიერად წყდება ზოგან ძვირფასი თვლებით, ზოგან მინანქრული კომპოზიციებით, რის შედეგად წყობა მთლიანად დეკორატიულ-ორნამენტულ ხასიათს იღებს.

ამ ჟანრში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს წმ. გიორგის გამოსახულებას. მჭედელმა ერთ-ერთი წმ. გიორგის ხატი შეასრულა სვანური გვარის - სალიანების დაკვეთით, რომელიც 2002 წელს ხატად იკურთხა და დღეს იგი ქაშუეთის „წმ. გიორგის“ სახელობის ტაძარშია დაბრძანებული. მეომრის სამოსში გამოწყობილი წმინდანი ვერტიკალურად ავსებს თაღოვანი კომპოზიციის სასურათე სიბრტყეს, სადაც მისი დგომის მანერა სრულიად შეესატყვისება მეომრის პოზას. წმინდანის გამჭოლი, შორს მიმართული მზერა, სახის მოგრძო ოვალის - წმ. გიორგის იკონოგრაფიული ტიპის ფარგლებს არ სცდება, რომელიც ძალიან განონასწორებული,



ბენეის ხიდზე – სპილენძი

ტრადიციული ეროვნული ტექნოლოგიის შენარჩუნების სურვილი. ანა მიქიანი 2006 წლის 21 ივნისს ავტოკატასტროფაში ტრაგიკულად დაიღუპა. საქართველოს პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია II ლოცვა-კურთხევით ოსტატი დაკრძალულია მცხეთის დედათა – „სამთავროს“ მონასტრის



ამირანი – სპილენძი

გარინდული და მშვიდია. თავისი გამომსახველობით მოგვავიწებს XVI საუკუნის „ილორის წმ. გიორგის“ ჭედურ ხატს, ამით კი მცლავნდება ძველი ქართული ძეგლებისადმი ოსტატის ძლიერი სიყვარული, ასევე,

ეზოში. თუმცა, სიტყვა დაიღუპა ამ შემთხვევაში არასწორია და როგორც კონსტანტინე გამსახურდია ამბობს, „ხელოვნება თავად უკვდავება, მხოლოდ ოსტატს ვერ ეწევა სიკვდილი“.

# სიღრმის ძიებაში

პატრიკ ზიუსკენდი

გთავაზობთ აფხაზეთის განათლებისა და კულტურის სამინისტროს წლევანდელი ლიტერატურული კონკურსის „წლის საუკეთესო თხზულება“ გამარჯვებულ თარგმანს, ნომინაციაში – მხატვრული თარგმანი.

ერთმა ახალგაზრდა მტუტგარტელმა ქალმა, რომელიც საკმაოდ კარგად ხატავდა, თავისი პირველი გამოფენის შესახებ რეცენზია წაიკითხა. კრიტიკოსი, რომელიც არათუ რამე ცუდს გულისხმობდა, არამედ პირიქით, მისი დახმარებაც კი სურდა, წერდა: „თქვენი ნამუშევრები სასიამოვნოდ დასათვალისწინებელია და თქვენს ნიჭზე მეტყველებს, მაგრამ სამწუხაროდ, ისინი სიღრმისეული არაა“.

ახალგაზრდა ქალმა ვერაფერი გაიგო და მისი შენიშვნა მალე გადავიწყდა, მაგრამ მომდევნო დღის გაზთში ისევ იხილა იმავე კრიტიკოსის შეფასება, რომელშიც ის ამბობდა: „ახალგაზრდა ხელოვანი უდავოდ ძალიან ნიჭიერია და მისი ნამუშევრები ერთი შეხედვით დიდ მოწონებას იმსახურებს, თუმცა, სამწუხაროდ, შემდეგ გვეუფლება გრძნობა, რომ მათ სიღრმე აკლია“.

ქალი დაფიქრდა. მან ყველა თავისი საქალაქდელ გაჩრიკა და ყველა ნახატი გადათვალიერა, ისინიც კი, რომლებზეც ჯერ ისევ მუშაობდა. შემდეგ გაბრაზებულმა საღებავის ქილები დაამტვრია, იატაკი მონინდა და სასერიოდ გავიდა.

იმავე დღეს მხატვარი საღამოზე იყო მიწვეული. ჩანს, სტუმრებს კრიტიკა დაეხეპრებინათ და მხოლოდ იმაზე საუბრობდნენ, თუ როგორი ნიჭიერი იყო ის და რაოდენ შთამბეჭდავი იყო მისი ტილოები, მაგრამ მას ნათლად ესმოდა უკან მდგომთა ლულული: „მისი ნახატები სიღრმეს მოკლებულია. სამწუხაროდ, ეს სიმართლეა. ცუდი არაა, მაგრამ...“

მთელი კვირის განმავლობაში ახალგაზრდა ხელოვანი არაფერს ხატავდა. ის იჯდა ჩუმად თავის ბინაში, ღრმად ჩაფიქრებული და თავში მხოლოდ ერთი კითხვა უტრიალებდა: „მინც რას უნდა ნიშნავდეს ეს სიღრმე? და რატომ არ გამაჩნია მე ის?“


მეორე კვირას ქალი ცდილობდა, რამე დაეხატა, მაგრამ ხან მხოლოდ უგერგილო ნახაზები მოსდიოდა თავში, ხან კი საერთოდ ვერაფერზე ფიქრობდა. საბოლოოდ კი ისე კანკალებდა, რომ საღებავში ფუნჯის ჩანებაც კი არ შეეძლო. დალილმა და იმედგაცრუებულმა ტირილი დაიწყო და ხმამაღლა ყვიროდა: „მართალია, მე არ ვარ ღრმა“.

მესამე კვირას მან დაიწყო ხელოვნების სხვადასხვა მიმდინარეობაზე დაკვირვება, სხვა მხატვრების ნამუშევრების შესწავლა და მუუუმებსა და გალერეებში სიარული. ის კითხულობდა წიგნებს ხელოვნების თეორიაზე, დადიოდა მალაზიებში და გამყიდველებს ყველაზე ღრმა ნაწარმოებებს სთხოვდა.

გამოფენაზე, სახელად „ევროპული ხელოვნება 500 წლის განმავლობაში“, იგი გადაეყარა მოსწავლეთა ჯგუფს, რომელსაც ხელოვნებათმცოდნე ხელმძღვანელობდა. მას იგი ლეონარდო და ვინჩის ტილოსთან წააწყდა და ჰკითხა: „მაპატიეთ, შეგიძლიათ მითხრათ, არის თუ არა ეს ტილო სიღრმისეული?“ კაცმა გაიცინა და უპასუხა: თუ ჩემი დაცინვა გადაწყვიტეთ, მაშინ უფრო ადრე უნდა ამდგარიყავით, მოწყალეო ქალბატონო“. ამის გაგონებაზე ბავშვებმა გულიანად გადაიხარხარეს. განაწყენებული ქალი სახლში მისვლისთანავე მწარედ ატირდა.

მხატვარი უფრო და უფრო უცნაური ხდებოდა. თავის სამუშაო ოთახს თითქმის არ ტოვებდა, მიუხედავად იმისა, რომ არც მუშაობა შეეძლო. ის იღებდა ტაბლეტებს, რათა არ დაძინებოდა, თუმცა არც კი იცოდა, რისთვის სჭირდებოდა სიფხიზლე. დალილი მხოლოდ სკამზე იძინებდა, რადგან საძინებელში გასვლის ეშინოდა. დიას, მას შიშს გვრიდა ძილის სიღრმე. მალე სმა დაიწყო და მთელი ღამე შუქს ანთებულს ტოვებდა. ის აღარ ხატავდა. როდესაც ბერლინიდან ნახატებით მოვაჭრემ დაურეკა და რამდენიმე ტილოს შესყიდვა შესთავაზა, ქალმა ტელეფონში დაუყვირა: „თავი დამანებეთ! მე არ გამაჩნია არანაირი სიღრმე“. დროგამოშვებით პლასტიკისა და ანვლებდა, მაგრამ არაფერი განსაკუთრებული არ შეუქმნია. მხოლოდ თითის წვერებს ჩააფლობდა ხოლმე ან გუნდას ფორმას აძლევდა. გარეგნულად საერთოდ მოუვლელი გახდა, ჩაცმას ყურადღებას არ აქცევდა და მისი ბინაც სულ გაოხრდა.

მეგობრები მხატვარზე დარდობდნენ და ამბობდნენ: „მას ზრუნველობა სჭირდება. ის ახლა ან ადამიანური, ან ეკონომიკური, ან შემოქმედებითი სახის კრიზისშია. თავიდან უმოქმედობაც დასაშვებია, მაგრამ შემდეგ თუ ძალიან შეტოპავს, აუცილებლად რამე უნდა მოვიმოქმედოთ, ოღონდ, ეს მისთვის, ალბათ, უხერხული იქნება“. საბოლოოდ კი იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ ის ვახშამზე ან წვეულებაზე დაეპატიჟებინათ. მიწვევებზე უარის სათქმელად ყოველთ-



პატრიკ ზიუსკენდი

ვის სამუშაოს იმიზეზებდა, თუმცა უკვე დიდი ხანია არაფერი დაუხატავს, ის უზრაროდ იჯდა ოთახში, გაჰყურებდა ჰორიზონტს და პლასტიკის ათამაშებდა.

ერთხელ ისეთ სასონარკვეთამდე მივიდა, რომ მიწვევის მიღება გადაწყვიტა. ერთმა ახალგაზრდა კაცმა, რომელსაც ის ძალიან მოსწონდა, სახლამდე მიაცილა და მასთან დაწოლის სურვილი გამოთქვა. ქალი უარზე არ იყო, რადგან მასაც მოსწონდაახალგაზრდა, მაგრამ წინასწარ გააფრთხილა, რომ ის არ იყო ღრმა. კაცი დაფრთხა და მისგან თავი შორს დაიჭირა.

ქალი, რომელიც ჯანმრთელობას არასდროს უჩიოდა, შესამჩნევად დაუძლურდა. გარეთ არ გადიოდა და არც არავის იღებდა, უმოძრაობის გამო გასუქდა, ხოლო ალკოჰოლისა და ტაბლეტებისგან კი მოკლედ დროში დაბერდა.

სამი წელი მემკვიდრეობით მიღებული 30 000 მარკით ცხოვრობდა. ამ ხნის განმავლობაში ის ერთხელ ნეაპოლშიც გაემგზავრა, თუმცა არავინ იცის რისთვის. ვინც მასთან დალაპარაკებას ეცდებოდა, ყველა მხოლოდ გაურკვეველ პასუხს იღებდა.

როდესაც ფული სრულად დახარჯა, თავისი ნახატები დაჩეხა და დააქუცმაცა. შემდეგ სატელევიზიო ანძაზე ავიდა და 139 მეტრის სიმალიდან შორს სიღრმეში გადაეშვა. ვინაიდან იმ დღეს ძლიერი ქარი ქროდა, იგი არ დავარდნილა ანძის ქვეშ, ფისიან ადგილზე. მისი სხეული ქარმა ტყისკენ წაიღო და იგი ნაძვნარში ჩავარდა. მხატვარი მაშინვე გარდაიცვალა.

ეს ამბავი ყვითელი პრესისთვის ხელმოსაჭიდი გახდა. თვითმკვლელობა, საინტერესო ტრაექტორია, ფაქტი, რომ ეს ყველაფერი იმდის მომცემ ხელოვანს ეხებოდა, ღირებულ ინფორმაციად იქცა. მხატვრის ბინა იმდენად კატასტროფულ მდგომარეობაში იყო, რომ მას უამრავი ფოტო გადაუღეს: ათასობით დაცლილი ბოთლი, ყველგან წვრცის ნიშანი, დაფხრეწილი ნახატები, კედლებზე აკრული პლასტიკის გუნდები და კუთხეში ფეკალური მასები.

რამდენიმე დღის შემდეგ ზემოთ ხსენებულმა კრიტიკოსმა ფელეტონი გამოაქვეყნა, რომელშიც ის გაოცებას ვერ მალავდა. „ისევ და ისევ - წერდა ის - ეს ან უკვე წარსულს ჩაბარებული, შემადრწუნებელი ამბავი, ნათელი მაგალითია იმისა, თუ როგორ არ ეყო ახალგაზრდა ნიჭიერ პიროვნებას ძალა, საზოგადოებაში საკუთარი ადგილის დასამკვიდრებლად. სახალხო მხადაჭერას და პირად ინიციატივებს არაფერი ძალუძთ, როდესაც საქმე შემოქმედებითი კრიზისით ხელშეწყობილ დეპრესიას ეხება. თუმცა საბოლოოდ ყველა ტრაგიკულ დასასრულში ჩანს ინდივიდუალური საწყისი. მისი გულუბრყვილო ნამუშევრები თავიდანვე მეტყველებდა მის სისუსტეზე და თავნებობაზე. ეს სპირალური ფორმის, ემოციურად დატვირთული და შერეული ტექნიკით შესრულებული ნახატები გვიჩვენებს, თუ როგორ შეუძლია ადამიანს აუჯანყდეს საკუთარ თავს. აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ მისთვის საბედისწერო აღმოჩნდა, სწორედ ამ სიღრმის უაზრო ძიება“.

გერმანულიდან თარგმნა

ანა ჩომაჩიაძე

ქ. თბილისის გ. რამიშვილის სახელობის მე-20 საჯარო სკოლის მე-11 კლასის მოსწავლე.

# „ბუდრუგანა გაგრა“ ბერლინში გამართულ აფხაზურ საღამოზე

მანია შონია

გერმანიაში, კერძოდ, ბერლინის ევროპული კულტურების მუზეუმში, გერმანიაში საქართველოს საელჩოს ორგანიზებით და საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსა და ეროვნული მუზეუმის მხარდაჭერით, ქართული კულტურის დღეები გაიმართა. კულტურის დღეები ერთი თვის განმავლობაში გრძელდებოდა და ერთი დღე აფხაზეთის დაეთმო. აფხაზური კულტურის დღის მთავარი სტუმარი იყო ჩრდილების სახელმწიფო თეატრი „ბუდრუგანა გაგრა“, რომელმაც თავისი შემოქმედების ერთგვარი კოლაჟი წარმოადგინა.



ჩრდილების თეატრის დასმა მოამზადა პროგრამა, რომელიც ხელის ჩრდილის სხვადასხვა ტექნიკისგან შედგებოდა. პროგრამაში შევიდა სპეციალურად ამ საღამოსთვის აფხაზურ ხალხურ სიმღერა „მწყემსურზე“ მომზადებული ნომერი

აფხაზური მუსიკალური ინსტრუმენტის „აჭარპანის“ თანხლებით. ნომერი ძალიან წარმატებული აღმოჩნდა. შესრულდა სპექტაკლ „წელიწადის ოთხი დროდან“ გურულ სიმღერაზე დაფუძნებული ნომერი „ცა ლაჟვარდი“, ასევე ბახის „ფუგა“ სავიოლინო სონატიდან. ეს ნომერი მხოლოდ ხელების მოძრაობისგან შედგება და ბალანჩინის ქორეოგრაფიის ასოციაციას ქმნის. პირველად ამ საღამოზე იქნა წარმოდგენილი ლოურენს ოლივიეს რეჟისორობითა და მონანილეობით გადაღებული შექსპირის „ჰამლეტიდან“ ნაწყვეტი „ყოფნა-არყოფნა“. საინტერესო იყო ჩრდილების თეატრის მიერ წარმოდგენილი აფხაზური კომპოზიცია და მოცარტის „ჯადოსნური ფლეიტის“ მიხედვით შექმნილი „პაპაგენო-პაპაგენა“. კინოცენტრი „აფხაზეთის“ დირექტორის ზურაბ ქვაჩაიას თქმით: „ბერლინში გამართულ ქართული კულტურის დღეებში „ბუდრუგანა გაგრა“ მონანილეობა წარმატებული იყო. თეატრს შესაძლებლობა მიეცა წარმოდგენა თავისი შემოქმედების თითქმის ყველა მხარე. ყველაზე მთავარი კი ისაა, რომ იქ ნაჩვენებმა 40-წუთიანმა პროგრამამ მაყურებლის დიდი მოწონება დაიმსახურა“.

აფხაზური საღამოს ნაწილი იყო აფხაზური კულინარიის ნიმუშების გამოფენა და ლექცია აფხაზური კერძების შესახებ. საღამოს გერმანიაში მცხოვრები აფხაზებიც ესწრებოდნენ.

წარმატებული გასტროლების შემდეგ ჩრდილების თეატრი „ბუდრუგანა გაგრა“ აქტიურ სამზადისშია. ნოემბერში თეატრი საქართველოს კინოცენტრის მიწვევით იტალიურ საბავშვო ფესტივალ „ჯიფონში“ მიიღებს მონაწილეობას. დასი წარმოადგენს იგივე პროგრამას და ჩაატარებს მასტერკლასს.

15 ოქტომბრიდან 11 ნოემბრის ჩათვლით თეატრი მიემგზავრება ინდონეზიასა და ტაილანდში. ინდონეზიაში დასი „სალიპარის“ ფესტივალზე მიწვეული. დაგეგმილია სხვადასხვა ქალაქში სპექტაკლებისა და მასტერკლასების გამართვა სტუდენტებისთვის. ტაილანდში ჩრდილების თეატრი „მსოფლიო თოჯინური თეატრების ფესტივალში“ მიიღებს მონაწილეობას.



ბას, სადაც შარშანდელი წარმატებული გასტროლების შემდეგ უკონკურსოდ მიიწვიეს. ფესტივალზე 647 მონაწილიდან 100 შეარჩიეს. ეს არის მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე დიდი ფესტივალი, რომელშიც 80 ქვეყნის 100 წარმომადგენელი მონაწილეობს. ფესტივალზე ჩრდილების თეატრი წარდგება სპექტაკლებით: „წელიწადის ოთხი დრო“ და „რა საოცარი დღეა“. ტურნეს მხარდამჭერია საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო.

## ახალგაზრდული ფიქრებით, ოცნებებითა და ხედვით...

აფხაზეთის ახალგაზრდა მხატვრების ნამუშევრების გამოფენა

სალომე თორია

თბილისის კულტურული და საზოგადოებრივი ცხოვრების ერთ-ერთ გამორჩეულ ცენტრში - შარდენზე, გობელენის მუზეუმში აფხაზეთის ახალგაზრდა მხატვრების ნამუშევრების გამოფენა მოეწყო. როგორც თავად აფხაზეთის მხატვართა კავშირში აცხადებენ, ისინი განახლების წყურვილმა მოიწვია... მათ ახალ ნამოწყებს, ხელი შეუწყონ მომავალ ხელოვანებს, მხარი დაუჭიროთ აფხაზეთის მთავრობამ, საქართველოს მხატვართა კავშირმა და თბილისის სამხატვრო აკადემიამ.

გამოფენაზე წარმოდგენილი იყო აფხაზეთიდან დევნილი ახალგაზრდა მხატვრების: ლუკა შელიას, დინა ვეკუას, ქეთევან ეფაძის, ირაკლი მიზრაბიშვილის, თემურ საბუღუას, ნინო ჭედიას, ზიძინა სიდიანის და სხვათა 40-მდე ნამუშევარი. აშკარაა, რომ რამდენიმე ახალგაზრდა მხატვარს საკუთარი ხელწერა და ორიგინალური ხედვა აქვს. ამიტომაც, სხვათაგან განსხვავებით, მათ ნამუშევრებში ნაკლებად იგრძნობა სხვადასხვა მიმდინარეობის კვალი.

აფხაზეთის ახალგაზრდა მხატვრების ნამუშევრების გამოფენას სტუმრობდნენ: აფხაზეთიდან დევნილი მხატვრები, საქართველოს მხატვართა კავშირის თანათავმჯდომარე, აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი, აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე, დეპუტატები, აფხაზეთის განათლებისა და კულტურის სამინისტროს წარმომადგენლები და საზოგადოების წევრები.

გამოფენა მისასალმებელი სიტყვით გახსნა და ახალგაზრდებს გზა დაულოცა აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს წევრმა, მხატვარმა ნუგზარ მაგლობლიშვილმა: – „დღეს მართლაც ღირსშესანიშნავი დღეა ქართული კულტურისათვის. საქმე ისაა, რომ ბოლო



ოცდაათი წელია ახალგაზრდა მხატვრების გამოფენა არ მოწყობილა. კიდევ იმითაცაა დღევანდელი დღე მნიშვნელოვანი, რომ საოცრად ნიჭიერი და ძალიან ღირსეული ახალგაზრდა მხატვრები მოდიან, რაც იმას ნიშნავს, რომ ჩვენს ქვეყანას მომავალი აქვს. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ეს ძალიან შთამბეჭდავი გამოფენაა. მეამაყება, რომ ჩვენი კუთხის შვილებს ასეთი ჩამოყალიბებული მსოფლმხედველობა, ზნეობრივი ნორმები და საკუთარი ქვეყნის სიყვარული საკუთარ ნახატებში, მხატვრული ორიგინალობით აქვთ გადწყვეტილი. ეს დღე ჩვენთვის, უფროსი თაობისთვისაც ამაღლებულია. არ უნდა განწყდეს კავშირი თაობათა შორის. იმ ფესვებს არ უნდა მოსწყდეთ ახალგაზრდებო, რომელიც გასაზრდოებთ.“

ახალგაზრდა მხატვრებს მიმართა საქა-

რთველოს მხატვართა კავშირის თანათავმჯდომარემ ბექა ნუცუბიძემ: – „ახალგაზრდებო, გილოცავთ ამ გამოფენას! დღევანდელი დღე მართლაც განსაკუთრებულია, რადგან ამ დარბაზში აფხაზეთიდან დევნილი მხატვრების ახალგაზრდა თაობა წარმოდგენილი, რომელსაც ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს. იმედი მაქვს, ამგვარი გამოფენა მალე სოხუმშიც ჩატარდება.“

ახალგაზრდების ნიჭიერებას ხაზი გაუსვა აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ გია გვაზავამ: – „ჩემს სიხარულს საზღვარი არა აქვს, რადგან ამ ნამუშევრებში ვხედავ ახალგაზრდების აზრებს, ფიქრებს. ისინი პრაგმატულად აზროვნებენ, ძალიან მონდომებული და ნიჭიერები არიან. მჯერა, რომ ამ ხელოვანებს დიდი მომავალი აქვთ. მთავარია, მათ არ დაივიწყონ საიდან მოდიან.

აფხაზეთი ხომ ჩვენი აკვანია... ვიმედოვნებ, რომ აფხაზეთის მხატვართა კავშირი ამ საოცარი ნამოწყების გამგრძელებელი იქნება.“

ამგვარი გამოფენის მნიშვნელობაზე ისაუბრა აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა ვახტანგ ყოლბაიამ. მისი თქმით, კულტურა, განათლება და სპორტი აფხაზეთის მთავრობის ერთ-ერთი უმთავრესი პრიორიტეტია. „დღევანდელი დღე იმის დასტურია, რომ არ შევმცდარვართ. ვფიქრობ, ჩვენი ვალაია ახალგაზრდა ნიჭიერი ხალხის გამოვლენა და მათი მხარდაჭერა. მაღლობა მინდა გადავუხადო მხატვართა კავშირს ამ გამოფენისთვის, რომელმაც შესაძლებლობა მოგვცა ჩვენი მხატვრების ნიჭი და ტალანტი საზოგადოების უმრავლესობისთვის ხელმისაწვდომი გამხდარიყო. უღრმესი მადლობა ბატონ ნუგზარ მაგლობლიშვილს და მის მეგობრებს, რომელთაც გზა გაუხსნეს წარმატებისკენ ჩვენს ახალგაზრდა მხატვრებს.“

ახალგაზრდა მხატვრების თანადგომაზე და მათ ხელშეწყობაზე გააკეთა აქცენტები მწერალმა გენო კალანდიამ: – „მართლაც ბედნიერი დღეა... ყოველი ახალი შემოქმედის შემოსვლა ხელოვნებაში ეს დიდი ამბავია და მე მიხარია, რომ ასეთი ნიჭიერი ახალგაზრდები გვხვრდებიან. ჩვენი მწირი ფინანსური მდგომარეობის მიუხედავად, ყველაფერი უნდა გავაკეთოთ, რომ მათ შევუხილოთ და გვერდით დაეფუდგეთ.“

ბოლოს, საზოგადოებას სიტყვით მიმართა აფხაზეთის მხატვართა კავშირის თავმჯდომარემ ალექსანდრე ხუბუამ და აღნიშნა, რომ აფხაზეთის მხატვართა კავშირის ერთ-ერთ პრიორიტეტს ახალგაზრდა მხატვრების გამოვლენა და მათი ხელშეწყობა წარმოადგენს. დასასრულ, მანვე ახალგაზრდა მხატვრებს სიგელები და სამახსოვრო საჩუქრები გადასცა.

რედაქტორი ნატო კორსანტია

ნომერზე მუშაობდნენ: მანია შონია, ეკატერინე გადილია, სალომე თორია